საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

N 04/573
25.08.2023

ბრძანება

573-01-4-202308251722

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 7 ოქტომბრის N04/199 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის, 11^3 მუხლის, 17^1 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და 29-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს მოკვლევის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილება „შპს „MGL GEORGIA“-ს საჩივრის დასაშვებად ცნობის, საქმის მოკვლევის დაწყებისა და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 7 ოქტომბრის N04/199 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული მოკვლევის თაობაზე“ - თანდართული სახით;
2. არ დადასტურდეს შპს „ჯნს ჯორჯიას“ (ს/ნ 415082145) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი;
3. არ დადასტურდეს შპს „ჯნს ჯორჯიას“ (ს/ნ 415082145) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11^3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი;
4. დამტკიცებული გადაწყვეტილება გადაეგზავნოს მხარეებს;
5. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვით.

6. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64);
7. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: მოკვლევის ჯგუფის 2023 წლის 25 აგვისტოს N 03/645 მოხსენებითი ბარათი.

ირაკლი ლექვინაძე



თავმჯდომარე

გადაწყვეტილება

შპს „MGL GEORGIA“-ს საჩივრის დასაშვებად ცნობის, საქმის მოკვლევის დაწყებისა და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 7 ოქტომბრის N04/199 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული მოკვლევის თაობაზე

(,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და 11[3] მუხლებით გათვალისწინებულ სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე)

თბილისი

2023

სარჩევი

თავი I. აღწერილობითი ნაწილი 3

1.1. საჩივრის შინაარსი 3

1.2. მოპასუხის პოზიცია 6

1.3. ახსნა-განმარტებითი შეხვედრები 7

1.3.1. ახსნა-განმარტებითი შეხვედრა შპს "MGL GEORGIA"-სთან 7

1.3.2. ახსნა-განმარტებითი შეხვედრა შპს ,,ჯნს ჯორჯიასთან" 8

1.4. დამატებით მიღებული ინფორმაცია 8

თავი II. ნორმატიული რეგულირება 10

2.1. საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 და მე-11³ მუხლებთან მიმართებით 10

2.1.1.ზოგადი მატერიალური რეგულირება 10

2.1.2. პროცედურული რეგულირება 13

2.2. ტვირთის საზღვაო გადაზიდვების მარეგულირებელი ჩარჩო კანონმდებლობა 15

2.2.1. ტვირთის საზღვაო გადაზიდვების მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობა 15

2.2.2. საერთაშორისო კანონმდებლობის მიმოხილვა 16

თავი III. შესაბამისი ბაზარი 17

3.1. შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება მე-6 მუხლის მიზნებისათვის 17

3.1.1. შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები 18

3.1.2 შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები 19

3.1.3. შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო 21

3.1.4. შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტები და მათი საბაზრო წილები 21

3.2. შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება მე-11³ მუხლის მიზნებისათვის 24

3.2.1. შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები 24

3.2.2. შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები 25

3.2.3. შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო 25

თავი IV. დომინანტური მდგომარეობა 25

თავი V. არაკეთილსინდისიერი კონკურენცია 34

თავი VI. სარეზოლუციო ნაწილი 39

თავი I. აღწერილობითი ნაწილი

1.1. საჩივრის შინაარსი

საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში შპს „MGL GEORGIA“-ს (ს/ნ 445406114) მიერ 2022 წლის 24 აგვისტოს წარმოდგენილ იქნა საჩივარი (რეგ: N01/1513) შპს „ჯნს ჯორჯიას“ (ს/ნ 415082145) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, ასევე, 11[3] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაძლო დარღვევის ფაქტის შესახებ.

მომჩივანი უთითებს, რომ მოპასუხე შპს ,,ჯნს ჯორჯია“ წარმოადგენს ჩინეთში დაფუძნებული საზღვაო ხაზის - Cosco Shipping Lines-ის (შემდგომში „Cosco”/“საზღვაო ხაზი“) ოფიციალურ წარმომადგენელს როგორც საქართველოში, ისევე, მთელი ამიერკავკასიის ტერიტორიაზე და როგორც მისი წარმომადგენელი, ბოროტად იყენებს დომინანტურ მდგომარეობას საზღვაო გადაზიდვების ბაზარზე. კერძოდ, 2019 წლიდან იგი ხელოვნურ ბარიერებს უქმნის შპს „MGL GEORGIA“-ს და არ აძლევს საშუალებას აღნიშნული საზღვაო ხაზით ისარგებლოს.

მომჩივანის თქმით, მოპასუხის მხრიდან პრობლემები შეექმნა კონკრეტული შემთხვევის შემდეგ - მომჩივანი უთითებს ერთ-ერთ გადაზიდვის ოპერაციაზე, რომელსაც ორგანიზებას უწევდა მომჩივანი მესამე მხარის დავალებით და ტვირთი უნდა გადაეზიდა ფოთის პორტიდან კონსტანცას (რუმინეთი) პორტამდე. ტვირთის გადაზიდვა განხორციელდა შპს „ჯნს ჯორჯიას“ (Cosco-ს საზღვაო ხაზის გამოყენებით) მიერ. აღნიშნული გადაზიდვა შესრულდა შეუფერხებლად და ტვირთი დანიშნულების ადგილზე ჩავიდა, თუმცა მიმღების დავალებით ტვირთი უკან დაბრუნდა (კონსტანცას პორტიდან ფოთის პორტში). შპს ,,ჯნს ჯორჯიამ“ 2019 წლის 2 თებერვლის სატელეფონო შეტყობინებით მომჩივანს მოთხოვა აღნიშნულ ტვირთთან დაკავშირებით დავალიანების (კონტეინერის მოცდენის ხარჯების - 11 449 (თერთმეტი ათას ოთხას ორმოცდაცხრა) ლარის) გადახდა, რაც მომჩივანის მითითებით, უსაფუძვლოა, ვინაიდან ტვირთის უკან დაბრუნებაში იგი უკვე აღარ მონაწილეობდა და ამას მოწმობს თავად ტვირთის დაბრუნების დოკუმენტაციაც. მომჩივანის თქმით, ვინაიდან, მას არანაირი კავშირი ტვირთის დაბრუნებასთან არ ჰქონია, კონტეინერის მოცდენის ხარჯების გადახდაც არ ევალებოდა. მოპასუხემ შეტყობინების გადაცემისას, ასევე, განუმარტა, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, მომჩივანს შავ სიაში შეიყვანდა და ფოთის პორტში მათი სახელით ნებისმიერი ტვირთის შემოსვლა შეიზღუდებოდა. შპს „MGL GEORGIA“ ამასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ შავ სიაში შეყვანით მოპასუხე მას ხელოვნურ ბარიერს უქმნიდა როგორც კონკურენტს, ვინაიდან, მისი თქმით, შპს „ჯნს ჯორჯია“ ეწევა საექსპედიტორო საქმიანობასაც და წარმოადგენს მომჩივანის კონკურენტს.

მომჩივანის აზრით, დამატებითი ვალდებულების დაკისრება (დავალიანების გადახდა), რომელიც კავშირში არ არის არსებულ გადაზიდვასთან და თანხის გადახდამდე

Cosco-ს მეშვეობით გადაზიდვის ორგანიზების შეზღუდვა, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მაკვალიფიცირებელი გარემოებაა. მომჩივანის განმარტებით, შემოსავლების სამსახურის მიერ მისთვის გაგზავნილი საპასუხო კორესპონდენციით დასტურდება, რომ კონსტანცას პორტიდან ფოთის პორტამდე განხორციელებულ გადაზიდვასთან მომჩივანს კავშირი არ ჰქონია.[1] ასევე, მომჩივანი ზემოთ აღნიშნულ გადაზიდვასთან დაკავშირებით დაუკავშირდა Cosco-ს სათაო ოფისს ჩინეთში და Cosco-სგან პასუხად მიიღო, რომ მას საზღვაო ხაზისთვის რაიმე სახის ჯარიმის გადახდა არ ევალებოდა.

საჩივარში აღნიშნულია, რომ შპს „ჯნს ჯორჯია“ საზღვაო ხაზის გადაწყვეტილებას არ უწევს ანგარიშს და საკუთარი შეხედულებით განსაზღვრავს მესამე პირებთან (მომჩივანთან) ურთიერთობის საკითხებს, ამ შემთხვევაში, დავალიანების არსებობის საკითხს. ამის მიზეზი, როგორც ზემოთ აღინიშნა, შპს ,,ჯნს ჯორჯიას“ მიერ კონკურენტის ჩამოშორებაა, რადგან მომჩივანისა და მოპასუხის საქმიანობის სფერო (საექსპედიტორო მომსახურების გაწევის ნაწილში) თანხვედრაშია და შპს ,,ჯნს ჯორჯია“, როგორც Cosco-ს წარმომადგენელი, ცდილობს საზღვაო გადაზიდვების სფეროში საკუთარი ძალაუფლება საექსპედიტორო მომსახურების მიმართულებით მისი კონკურენტის საწინააღმდეგოდ გამოიყენოს.

მოპასუხის მიერ დომინანტური მდგომარეობის ფლობას მომჩივანი ადასტურებს იმით, რომ Cosco-ს, რომლის წარმომადგენელიც არის შპს ,,ჯნს ჯორჯია“, ბაზარზე სხვა საზღვაო ხაზებთან შედარებით გაცილებით დაბალი ფასები აქვს, რაც განაპირობებს ამ საზღვაო ხაზის მეშვეობით გადაზიდვათა დიდი ოდენობის არსებობას - მომჩივანის განცხადებით Cosco-ს საზღვაო ხაზით ჩინეთიდან საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში საზღვაო გადაზიდვები შეადგენს მთლიანი ოდენობის 60-70 %-ს. მომჩივანი ასევე, უთითებს, რომ შპს ,,ჯნს ჯორჯიას“ მიერ ფოთში შესული ტვირთის დაცლა ხდება მისსავე ტერმინალში, რაც მოპასუხეს მომჩივანზე ზემოქმედების დამატებით ძალაუფლებას აძლევს და იგი შპს ,,MGL GEORGIA“-ს სახელზე შემოსულ ტვირთს ტერმინალში აყოვნებს იმ მიზნით, რომ მიიღოს დამატებითი თანხა.

მომჩივანი უთითებს იმასაც, რომ საბაზრო წილი არ არის დომინანტობის ერთადერთი განმსაზღვრელი და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კომპანიის ვერტიკალური ინტეგრაცია - მოპასუხე არა მხოლოდ აგენტირებას უწევს Cosco-ს, არამედ წარმოადგენს საექსპედიტორო საქმიანობის განმახორციელებელ ეკონომიკურ აგენტსაც. ვერტიკალური ინტეგრაციის შემთხვევაში კომპანიები ცდილობენ სრულ ან ნაწილობრივ ინტეგრაციას, რაც ორი გზით ხდება: ინდუსტრიის ღირებულების ჯაჭვის სხვადასხვა ნაწილებში ერთეულების შექმნით ან ამ ნაწილებში მოქმედი კომპანიების შთანთქმით, რასაც მომჩივანის აზრით, ადგილი აქვს სწორედ მოცემულ შემთხვევაში.

საჩივრის ავტორი, ასევე, უთითებს მოპასუხის მხრიდან განხორციელებულ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტზე და აცხადებს, რომ შპს ,,ჯნს ჯორჯია“ წლების

[1] შემოსავლების სამსახურის მიერ შპს “MGL GEORGIA”-სთვის გაგზავნილი N21-10/20960 წერილი (26.02.2019).

განმავლობაში ცდილობდა მისი რეპუტაციის შელახვას, რის შედეგადაც უკანასკნელი 4 წლის მანძილზე მომჩივანმა ასეულობით კლიენტი დაკარგა.

არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და რეპუტაციის შელახვის დასტურად მომჩივანს მოჰყავს მოპასუხის მიერ შპს ,,Silk Way"-ს მიმართ შპს „MGL GEORGIA"-ს რეპუტაციის შემლახავი ცნობების გავრცელება. კერძოდ, მომჩივანის განცხადებით, შპს ,,ჯნს ჯორჯიას" თანამშრომლის მიერ შპს ,,Silk Way"-სთან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (კორესპონდენციის თარიღი: 20.10.2021) იქნა ინფორმაცია მიწოდებული იმის თაობაზე, რომ მომჩივან კომპანიას მოპასუხის წინაშე აქვს დავალიანება და ამასთან, მომჩივანი შეყვანილია შავ სიაში.

მომჩივანი, ასევე, უთითებს შპს ,,Silk Way"-სგან მოპასუხის მიერ თანხის მოთხოვნის ფაქტზე, კერძოდ, შპს „ჯნს ჯორჯიამ" ერთ-ერთი გადაზიდვის ორგანიზებისას შპს ,,Silk Way"-სგან, როგორც კლიენტისგან, წინასწარ მოითხოვა დეპოზიტის სახით 11 449 (თერთმეტი ათას ოთხას ორმოცდაცხრა) ლარის გადახდა, რაც ზუსტად ემთხვევა მომჩივანისთვის მოთხოვნილი დავალიანების რაოდენობას. დეპოზიტის სახით თანხის გადახდის მოთხოვნა, მომჩივანის თქმით, არ გამომდინარეობს საზღვაო გადაზიდვების პრაქტიკიდან და ვინაიდან მოპასუხემ ზუსტად იგივე ოდენობის თანხის გადახდა მოითხოვა, რა ოდენობის თანხის გადახდასაც დავალიანების სახით სთხოვდა მომჩივანს, ამ უკანასკნელს უჩნდება ეჭვი, რომ მოპასუხე არაკეთილსინდისიერად იქცეოდა და ცდილობდა სხვა ეკონომიკური აგენტისგან, შპს ,,Silk Way"-სგან კონტეინერის მოცდენის ხარჯების ანაზღაურების მიღებას, მაშინ როცა შპს ,,Silk Way"-ს შეხება არ ჰქონია ზემოღ აღნიშნულ საკონტეინერო გადაზიდვასთან (ფოთის პორტიდან კონსტანცას პორტში და პირიქით).

საჩივრის ავტორის აზრით, მოპასუხის ქმედებებს არ აქვთ გამართლება და მათი მიზანია მომჩივანს გაურთულოს კლიენტებისგან შეკვეთების აღება, შეულახოს მას რეპუტაცია და მიაყენოს ფინანსური ზიანი.

გარდა ამისა, ზიანთან დაკავშირებით მომჩივანი საჩივარში უთითებს, რომ შპს ,,ჯნს ჯორჯიას" მიერ კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევამ მომჩივან კომპანიას მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიაყენა, ხოლო გარკვეულ მიმართულებებზე გადაზიდვის ორგანიზების შესაძლებლობა წაართვა. მომჩივანის თქმით, მან დაკარგა უამრავი კლიენტი, რადგან ბაზარზე კონკურენტუნარიანი ფასები აღარ აქვს მოპასუხის ქმედებების შედეგად.

საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ დარღვეულია კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი, ვინაიდან მოპასუხე დისკრიმინაციულად, არასამართლებრივად უზღუდავს მას მომსახურების მიღებას და აკისრებს ისეთ დამატებით ვალდებულებას, რომელიც კავშირში არაა ამ მომსახურების მიღებასთან.

მომჩივანის პოზიციით, ასევე, დარღვეულია კანონის 11[3] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი - მოპასუხის მიერ მომჩივანის შესახებ შპს ,,Silk Way“-სთან მომჩივანის რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის გავრცელების გზით.

1.2. მოპასუხის პოზიცია

მოპასუხე არ ეთანხმება საჩივარში მითითებულ გარემოებებს და აღნიშნავს, რომ საჩივარში ფაქტები წარმოდგენილია დამახინჯებულად და მომჩივანი ცდილობს შექმნას არასწორი წარმოდგენა მასსა და მომჩივანს შორის არსებულ ურთიერთობებზე.

პირველ რიგში, მოპასუხე აღნიშნავს, რომ იგი არის Cosco-ს აგენტი და არა წარმომადგენელი, როგორც ამას მომჩივანი უთითებს. მისი საქმიანობა მოიცავს ფოთისა და ბათუმის პორტებში აგენტირებას და საერთაშორისო საზღვაო საკონტეინერო გადაზიდვების განხორციელებას Cosco-ს საზღვაო ხაზის მეშვეობით. გარდა ამისა, დამოუკიდებლად სახმელეთო და სარკინიგზო გადაზიდვების, საექსპედიტორო და ლოგისტიკური მომსახურების განხორციელებას. მასსა და Cosco-ს შორის ურთიერთობა მოწესრიგებულია სააგენტო ხელშეკრულებით.

მოპასუხის, როგორც აგენტის მომსახურება მოიცავს საზღვაო გადაზიდვების შეკვეთების (Booking) მიღებას, შეკვეთების სისტემის განახლებას, კონტეინერების გამოყოფას, სადოკუმენტაციო საქმიანობას, კლიენტების მომსახურებას Cosco-ს წესების შესაბამისად, კონტეინერების პარკის ოპერირებას Cosco-ს ინსტრუქციების შესაბამისად, ფოთისა და ბათუმის პორტებში მოქმედი საზღვაო გემების აგენტირებას.

შპს ,,MGL GEORGIA“-ს შავ სიაში შეყვანასთან დაკავშირებით მოპასუხე აღნიშნავს, რომ შავ სიაში მომჩივანი შეყვანილ იქნა უშუალოდ Cosco-ს სათაო ოფისის მიერ და არა შპს „ჯნს ჯორჯიას“ თვითნებური გადაწყვეტილებით.

მოპასუხე აღნიშნავს, რომ მომჩივანის შავ სიაში შეყვანის მიუხედავად, მას არ ჰქონია წართმეული შესაძლებლობა ესარგებლა Cosco-ს საზღვაო ხაზით, კერძოდ, მომჩივანს შეეძლო შეკვეთები დაედასტურებინა შუამავლების მეშვეობით და კონოსამენტში სხვა პირი მიეთითებინა, რაც მიღებული პრაქტიკაა გადაზიდვების სფეროში. მოპასუხის მოსაზრებით, წლების განმავლობაში მომჩივანი სწორედ ამ გზით მაინც იყენებდა Cosco-ს საზღვაო ხაზს. შესაბამისად, მომჩივანისთვის საზღვაო ხაზის მომსახურებაზე წვდომა არ ყოფილა შეზღუდული.

რაც შეეხება კონსტანცას პორტიდან ფოთის პორტში ტვირთის გადაზიდვის შემთხვევას, მოპასუხე აღნიშნავს, რომ საზღვაო საკონტეინერო გადაზიდვებში, ტვირთის გატანასა და შესაძლო ჯარიმებზე ყველანაირი პასუხისმგებლობა ეკისრება შეკვეთის დამადასტურებელ მხარეს (Booking Party). მოპასუხის განცხადებით, საჩივარში მითითებულ კონტეინერთან დაკავშირებული პრობლემები ჯერ კიდევ 2018 წელს წარმოიშვა, რის თაობაზეც არაერთი

შეტყობინება გაეგზავნა მომჩივანს და მოხდა ინფორმაციის მიწოდება, რომ ტვირთი უკან დაბრუნდებოდა. ასევე, მომჩივანს გაეგზავნა შეტყობინება დაბრუნების ხარჯების დაკისრების შესახებაც.

მოპასუხე, ასევე, არ ეთანხმება მომჩივანის განცხადებას Cosco-ს ფასების შესახებ და აღნიშნავს, რომ მათი ფასები ბოლო 3-4 წლის მანძილზე არაკონკურენტულია და აღნიშნული საფუძვლით მას, როგორც Cosco-ს აგენტს, დომინანტური მდგომარეობა ვერ ექნებოდა.

1.3. ახსნა-განმარტებითი შეხვედრები

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის მიზნით, სააგენტოს მიერ ჩატარდა ახსნა-განმარტებითი შეხვედრები, რომლებზეც მოწვეულ იქნენ შპს „MGL GEORGIA“ და შპს „ჯნს ჯორჯია“.

1.3.1. ახსნა-განმარტებითი შეხვედრა შპს "MGL GEORGIA"-სთან

2023 წლის 7 თებერვალს, 12:00 საათზე, ონლაინ, Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით გაიმართა ახსნა-განმარტებითი შეხვედრა შპს "MGL GEORGIA"-სთან.[2]

მომჩივანმა შეხვედრაზე კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ შპს ,,ჯნს ჯორჯია", როგორც Cosco-ს წარმომადგენელი საქართველოსა და მთლიანად ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, დაუსაბუთებლად ეუბნება უარს და მომჩივანს არ აძლევს საშუალებას, სხვა ექსპედიტორების მსგავსად, გამოიყენოს Cosco-ს საზღვაო ხაზის მომსახურება. მიუხედავად იმისა, რომ 2019 წლიდან დღემდე მომჩივანს ჰქონდა შესაძლებლობა ესარგებლა სხვა საზღვაო ხაზებით, მისი თქმით, Cosco ერთ-ერთი ბიუჯეტური საზღვაო ხაზია და მასზე წვდომის შეზღუდვის გამო აღარ აქვს საშუალება საკუთარ კლიენტებს გადაზიდვების ორგანიზებისას შესთავაზოს კონკურენტული სატარიფო ფასები.

მომჩივანმა შეხვედრაზე, ასევე, განაცხადა, რომ საკონტეინერო გადაზიდვები ხორციელდება ფოთისა და ბათუმის პორტების მეშვეობით, თუმცა ბათუმის პორტში არ ხდება ყველა მიმართულებით ტვირთის გაგზავნა/მიღება და ასევე, ყველა სახის ტვირთის მიღება. გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში ბათუმის პორტიდან შიდა გადაზიდვისას მათ მომხმარებელს უძვირდება მომსახურების ღირებულება, ვინაიდან, მაგალითად, ბათუმიდან თბილისამდე ტვირთის ტრანსპორტირება უფრო ძვირი ჯდება. ამიტომ, ტვირთების გადაზიდვა ძირითადად ხდება ფოთის პორტიდან.

[2] მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ 2023 წლის 8 თებერვლის N 03/73 მოხსენებითი ბარათით წარდგენილი სხდომის ოქმი N1 და შესაბამისი აუდიო ჩანაწერები.

შეხვედრაზე მომჩივანმა აღნიშნა, რომ მოპასუხის მხრიდან შპს ,,Silk Way"-ს გარდა რომელიმე სხვა სუბიექტთან მოპასუხის მიერ რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელების მტკიცებულება არ აქვს.

1.3.2. ახსნა-განმარტებითი შეხვედრა შპს ,,ჯნს ჯორჯიასთან"

2023 წლის 7 თებერვალს, 15:00 საათზე, ონლაინ, Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით გაიმართა ახსნა-განმარტებითი შეხვედრა შპს "ჯნს ჯორჯიასთან".[3]

მოპასუხემ შეხვედრაზე ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ Cosco-ს საზღვაო ხაზის მომსახურების გამოყენებას მომჩივანი ვერ ახერხებს არა შპს „ჯნს ჯორჯიას" რომელიმე ქმედების გამო, არამედ თავად Cosco-ს გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც მომჩივანი შავ სიაში იქნა შეყვანილი და მას ეზღუდება მომსახურების მიღება. საზღვაო ხაზის გადაწყვეტილების არარსებობის შემთხვევაში, თუნდაც მოპასუხეს უარი ეთქვა მომჩივანისთვის მომსახურების გაწევაზე, მომჩივანს შპს „ჯნს ჯორჯიას" შუამავლობის გარეშეც შეეძლო საზღვაო ხაზის მომსახურების მიღება. მოპასუხის თქმით, ნებისმიერ პირს, იქნება ეს ექსპედიტორი თუ სხვა ფიზიკური/იურიდიული პირი, შეუძლია დარეგისტრირდეს Cosco-ს ვებ-გვერდზე და მიიღოს საზღვაო ხაზის მომსახურება. რაც შეეხება სატარიფო განაკვეთებს, მოპასუხემ კვლავ განაცხადა, რომ სხვა საზღვაო ხაზებთან შედარებით მომსახურების დაბალი ტარიფები არ აქვს და არ ეთანხმება მომჩივანს, რომ Cosco შეღავათიანი ფასებითაა წარმოდგენილი საზღვაო გადაზიდვების ბაზარზე.

შეხვედრისას მოპასუხემ, ასევე, განმარტა, რომ Cosco-ს წარმომადგენლობის/აგენტობის გარდა იგი არ ახორციელებს რაიმე სხვა საქმიანობას, მათ შორის, საექსპედიტორო საქმიანობას. ხოლო შეხვედრის ჩატარების შემდეგ, სააგენტოში დამატებით წარმოდგენილ წერილში[4] მოპასუხე აღნიშნავს, რომ 2019 წლიდან მოპასუხე ეწევა საექსპედიტორო საქმიანობას, როგორც არაძირითად საქმიანობას და მისგან მიღებული შემოსავალი მოპასუხის მთლიანი შემოსავლის უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს.

1.4. დამატებით მიღებული ინფორმაცია

საქმის მოკვლევის ფარგლებში, შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის მიზნით, სააგენტოს მიერ გამოთხოვილ იქნა 2019-2022 წლებში გადაზიდული და შემოტანილი კონტეინერების ჯამური ოდენობის შესახებ ინფორმაცია საზღვაო გადამზიდავი კომპანიებისგან[5].

---

[3] მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ 2023 წლის 8 თებერვლის N 03/73 მოხსენებითი ბარათით წარდგენილი სხდომის ოქმი N2 და შესაბამისი აუდიო ჩანაწერები.

[4] სააგენტოში რეგ. N01/549; თარიღი: 14.02.2023

[5] სააგენტოს 2022 წლის 11 ნოემბრით დათარიღებული N02/1100; N02/1101; N02/1102; N02/1103; N02/1104; N02/1105; N02/1106; N02/1107; N02/1108; N02/1109; N02/1110; N02/1111; N02/1112; N02/1113; N02/1114 წერილები.

კანონის 11[3] მუხლთან დაკავშირებით მომჩივანი მიერ მითითებულ გარემოებთან დაკავშირებით, ინფორმაცია იქნა, ასევე, გამოთხოვილი შპს ,,Silk Way"-სგან, რომელმაც სააგენტოსთვის წარმოდგენილ წერილობით პასუხში აღნიშნა, რომ მოპასუხის მხრიდან მას მიეწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შპს „ჯნს ჯორჯიას" მომჩივანის მიმართ ჰქონდა ფინანსური სახის პრეტენზიები და მომჩივანი შეყვანილი იყო შავ სიაში. შპს ,,Silk Way" ასევე უთითებს, რომ აღნიშნულ ინფორმაციას გავლენა არ მოუხდენია მასსა და მომჩივანს შორის ურთიერთობაზე. გარდა ამისა, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტის შესახებ სააგენტოს მიერ წერილები გაგზავნილი [6] იქნა შპს „New Port"-თან (ს/ნ: 400030186) და შპს "პარკეტ სერვის ჯესთან" (ს/ნ: 202443123). შპს "პარკეტ სერვის ჯეს" სააგენტოსთვის გამოგზავნილ საპასუხო წერილში არ დაუდასტურებია მოპასუხის მიერ კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედების განხორციელების ფაქტი, ხოლო შპს „New Port"-ს სააგენტოში პასუხი არ წარმოუდგენია.

1.5. გადაწყვეტილების პროექტის გაცნობა და შემაჯამებელი სხდომა

„საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე" კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის N40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის 27-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, მხარეებს გაეგზავნათ შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტი[7] და საქმის მასალები (კონფიდენციალურობის დაცვით) და ეთხოვათ საკუთარი პოზიციისა და მოსაზრებების წარმოდგენა არაუგვიანეს 2023 წლის 10 აგვისტოსა.

გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია წარმოადგინა მომჩივანმა მხარემ[8], ხოლო მოპასუხე მხარეს პოზიცია არ წარმოუდგენია.

2023 წლის 23 აგვისტოს გაიმართა შემაჯამებელი სხდომა[9]. მხარეთა არჩევანის შესაბამისად სხდომა გაიმართა დისტანციურად, ვიდეო კონფერენციის საშუალებით. სხდომას ესწრებოდნენ მომჩივანი მხარის წარმომადგენლები, რომელთაც განაცხადეს, რომ არ ეთანხმებიან სააგენტოს მიერ მომზადებულ გადაწყვეტილებას. კერძოდ, მათი თქმით, მოპასუხის ქმედება წარმოადგენს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას და მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხეს ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა არ უკავია, იგი თავისი ქმედებით არღვევს კანონის მე-6 მუხლს. ასევე, კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი მოპასუხის მხრიდან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის განხორციელების ფაქტს. აღნიშნულ

ასევე, სააგენტოს 2023 წლის 17 თებერვლის N02/388 წერილი და 3 აპრილის N02/863; N02/864; N02/865; N02/866; N02/867; N02/868; N02/869; N02/870; N02/871; N02/872; N02/873; N02/874 წერილები.

[6] სააგენტოს 2023 წლის 14 მარტის წერილები N02/703 და N02/704

[7] სააგენტოს 2023 წლის 21 ივნისის N02/1634 და N02/1635 წერილები

[8] წერილის სააგენტოში რეგ. N01/2631, თარიღი: 07.08.2023

[9] მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის 2023 წლის 23 აგვისტოს N03/622 მოხსენებითი ბარათი

საკითხებთან დაკავშირებით მომჩივან მხარეს სხდომაზე განემარტა[10] კონკურენციის შესახებ კანონის მე-6 და 11³ მუხლების დისპოზიციის მნიშვნელოვანი ასპექტები, ხოლო დეტალური სამართლებრივი დასაბუთება ასახულია გადაწყვეტილების სამართლებრივი შეფასების ნაწილში.

შემაჯამებელ სხდომას, ასევე, ესწრებოდნენ მოპასუხე მხარის წარმომადგენლები, რომელთაც სააგენტოს მიერ მომზადებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით არ ჰქონიათ შენიშვნები/პრეტენზიები.

თავი II. ნორმატიული რეგულირება

2.1. საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-11³ მუხლებთან მიმართებით

2.1.1.ზოგადი მატერიალური რეგულირება

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე.“

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) პირველი მუხლით, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია. აღნიშნულის საფუძველზე, მე-2 მუხლით კონკრეტდება კანონის მიზანი: საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

კანონის მე-4 მუხლის თანახმად, კანონის მოთხოვნათა შესრულების უფლებამოსილების მქონე ორგანოა დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო. სააგენტოს ძირითადი ამოცანაა კონკურენციის პოლიტიკის განხორციელება, საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნა და დაცვა, აგრეთვე ამ მიზნით ყველა სახის ანტიკონკურენტული შეთანხმებისა და ქმედების დაუშვებლობა, გამოვლენა და აღკვეთა.

[10] აღნიშნული განმარტება ასახულია შემაჯამებელი სხდომის აუდიო ჩანაწერში, რომელიც თან ერთვის მოკვლევის ხელმძღვანელის 2023 წლის 23 აგვისტოს N03/622 მოხსენებით ბარათს.

კანონის მე-16 მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით, სააგენტო თავისი საქმიანობის განხორციელებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დამოუკიდებელია. ამასთან, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №288 დებულებით დამტკიცებული სააგენტოს დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო საქმიანობს დამოუკიდებლობის, არადისკრიმინაციულობის, მიუკერძოებლობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვით.

კანონის მე-6 მუხლის თანახმად, დაუშვებელია ერთი ან რამდენიმე (ჯგუფური დომინანტური მდგომარეობის შემთხვევაში) ეკონომიკური აგენტის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ქმედებები:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასის ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება);

ბ) წარმოების, ბაზრის ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებლის ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა;

გ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;

დ) გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის დადგენა/ვალდებულების დაკისრება, რომელიც არც საგნობრივად და არც კომერციულად დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან, და სხვა.

შესაბამისად, დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტს კანონი მომეტებულ პასუხისმგებლობას აკისრებს. კონკრეტული ეკონომიკური აგენტის მიმართ დომინანტური მდგომარეობის ფაქტის დადგენა თავისთავად არ წარმოადგენს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევას, არამედ, ასეთ ეკონომიკურ აგენტს აკისრებს სპეციალურ ვალდებულებას, არ განახორციელოს ისეთი ქმედება, რომელიც შესაბამის ბაზარზე საფრთხეს შეუქმნის ჯანსაღ კონკურენტულ გარემოს.

თავად „დომინანტური მდგომარეობის“ ცნებას კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი განმარტავს, კერძოდ, დომინანტური მდგომარეობა არის შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისგან, მიმწოდებლებისგან, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ შესაბამის ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. თუკი სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/ეკონომიკური აგენტები არ ჩაითვლება/არ ჩაითვლებიან დომინანტური მდგომარეობის მქონედ/მქონეებად, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება. ორი ან ორზე მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება

დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ ისინი არ განიცდიან მნიშვნელოვან კონკურენციას განსახილველი ჯგუფის შიგნით და მის მიღმა შესაბამის ბაზარზე მოქმედი სხვა ეკონომიკური აგენტებისგან, ნედლეულის წყაროს და გასაღების ბაზრის შეზღუდული ხელმისაწვდომობის, შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ამასთანავე:

ი.ა) არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია;

ი.ბ) არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 80 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია.

კანონის მე-5 მუხლი კი განმარტავს, რომ დომინანტური მდგომარეობა განისაზღვრება შესაბამის ბაზარზე ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილის, აგრეთვე მისი კონკურენტების საბაზრო წილების, ბაზარზე შესვლის ბარიერების, წარმოების გაფართოების ბარიერების, მყიდველის საბაზრო ძალაუფლების, ნედლეულის წყაროს ხელმისაწვდომობის, ვერტიკალური ინტეგრაციის ხარისხის, ქსელური ეფექტებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. სააგენტო ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილს და საბაზრო ძალაუფლებას განსაზღვრავს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N 37 ბრძანებით დამტკიცებული ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების გამოყენებით.

კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარეს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 5%-ს, ხოლო დარღვევის სამართლებრივი საფუძვლის აღმოუფხვრელობის ან აღნიშნული დარღვევის განმეორების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 10%-ს.

კანონის 11^3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაუშვებელია არაკეთილსინდისიერი კონკურენცია. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კი, არაკეთილსინდისიერ კონკურენციად ითვლება ეკონომიკური აგენტის ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტთა და მომხმარებელთა ინტერესებს, მაგალითად:

ა) კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით საქონლის შესახებ ისეთი ინფორმაციის გადაცემა (მათ შორის, არასათანადო, არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო ან აშკარად ყალბი რეკლამის საშუალებით), რომელიც მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის და ამით გარკვეული ეკონომიკური ქმედებისაკენ უბიძგებს;

ბ) ეკონომიკური აგენტის მიერ მხარის შეცდომაში შესაყვანად გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მიღწევა;

გ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი შეხედულების შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია;

დ) კონკურენტის ან მესამე პირის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული იერსახის მითვისება;

ე) სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო ან სავაჭრო ინფორმაციის ან კომერციული საიდუმლოების მისი მფლობელის თანხმობის გარეშე მიღება, მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება;

ვ) შემსყიდველის, მიმწოდებლის, მისი თანამშრომლის ან გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირის მოსყიდვა, რომ მან დამქირავებლის ინტერესების საწინააღმდეგოდან მომხმარებლის ინტერესების უგულებელყოფით იმოქმედოს;

ზ) ბოიკოტისაკენ მოწოდება.

კანონის 33-ე მუხლის მეხუთე პუნქტის მიხედვით, ამ კანონის 11^3 მუხლით გათვალისწინებული დარღვევის დადასტურების შემთხვევაში ეკონომიკურ აგენტს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წლის განმავლობაში ეკონომიკური აგენტის წლიური ბრუნვის 1%-ს, ხოლო აღნიშნული დარღვევის სამართლებრივი საფუძვლის აღმოუფხვრელობის ან ამ დარღვევის განმეორების შემთხვევაში – 3%-ს.

2.1.2. პროცედურული რეგულირება

კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელიც მხარედ განიხილება. მან სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები და მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი.

„საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის N 40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის (შემდგომში - „პროცედურა“) მე-5 მუხლის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია დაიწყოს საქმის მოკვლევა საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N 38 ბრძანებით დამტკიცებულ იქნა „საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის წესი და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურები და ვადები“, რომლის მე-7 მუხლი აწესრიგებს საჩივრის მატერიალური დასაშვებობის საკითხს. კერძოდ, სააგენტო საჩივარს შეისწავლის მისი

შემოსვლიდან 30 სამუშაო დღის ვადაში (შესაძლებელია ამ ვადის 15 სამუშაო დღით გაგრძელება). აღნიშნულ ვადაში სააგენტოს გამოაქვს გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებად ცნობის ან დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის შესახებ.

კანონის 25-ე მუხლისა და პროცედურის მე-6 მუხლის თანახმად, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სააგენტო იწყებს საქმის მოკვლევას და არაუგვიანეს 6 თვისა იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. ამასთან, მოკვლევის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, სააგენტოს გადაწყვეტილებით, საქმის მოკვლევა შეიძლება გაგრძელდეს 18 თვემდე.

კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის) წარდგენა, რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის; ამავე კანონის 32-ე მუხლი კი ითვალისწინებს სანქციას სააგენტოს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის მიუწოდებლობისათვის, არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდებისათვის.

პროცედურის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს ნებისმიერი დოკუმენტი/ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური), რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში და ხელს შეუწყობს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენას.

პროცედურის მე-20 მუხლის მიხედვით, სააგენტო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

საქმის გარემოებებიდან გამომდინარე სააგენტო უფლებამოსილია:

ა) შეაგროვოს ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით;

ბ) მიიღოს ახსნა-განმარტება ან გამართოს საკონსულტაციო შეხვედრა საქმის გარემოებათა დასადგენად;

გ) მოიწვიოს ექსპერტი;

დ) მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს.

პროცედურის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად სააგენტოს თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეუძლია ახსნა-განმარტების მისაღებად მოიწვიოს მხარე ან/და დაინტერესებული მხარე. პროცედურის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სააგენტო,

ახსნა-განმარტების მიღების მიზნით, ატარებს სხდომას მხარეთა მონაწილეობით, ხოლო 25-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოკვლევის ინტერესების გათვალისწინებით, ახსნა-განმარტების მიღება შესაძლებელია მოხდეს სხდომის ჩატარების გარეშე, ინდივიდუალური ახსნა-განმარტების ჩამორთმევის გზით.

კანონის 25-ე მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტების შესაბამისად, სააგენტო შემაჯამებელი სხდომის გამართვამდე განმცხადებელსა და მხარეს წერილობით უგზავნის სააგენტოს საბოლოო გადაწყვეტილების პროექტსა და საქმის მასალებს. ამასთანავე, განმცხადებელსა და მხარეს განემარტებათ, რომ მათ უფლება აქვთ, წარმოადგინონ თავიანთი პოზიციები და შესაბამისი დამატებითი ინფორმაცია (მტკიცებულებები). განმცხადებლისა და მხარის მიერ თავიანთი პოზიციების წარმოდგენისათვის განსაზღვრული ვადა არ უნდა იყოს 25 სამუშაო დღეზე ნაკლები. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ წარდგენილი ინფორმაცია სააგენტომ შეიძლება არ გაითვალისწინოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

პროცედურის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და მტკიცებულებების შეგროვების შემდეგ ინიშნება შემაჯამებელი სხდომა მხარეებისა და სხვა უფლებამოსილი ორგანოების/პირების მონაწილეობით, ხოლო 29-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შემაჯამებელი სხდომის დასრულების შემდგომ მოკვლევის ჯგუფი ამზადებს გადაწყვეტილების პროექტს, რომელიც წარედგინება სააგენტოს თავმჯდომარეს დასამტკიცებლად.

სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევის განხორციელების პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები და კვლევები საჯაროა, გარდა კანონის მე-20 მუხლით განსაზღვრული კონფიდენციალური ინფორმაციისა.

2.2. ტვირთის საზღვაო გადაზიდვების მარეგულირებელი ჩარჩო კანონმდებლობა

2.2.1. ტვირთის საზღვაო გადაზიდვების მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობა

საზღვაო ნაოსნობასთან დაკავშირებული ურთიერთობები მოწესრიგებულია საქართველოს საზღვაო კოდექსით (შემდგომში - „ საზღვაო კოდექსი“). კოდექსის მე-2 მუხლის შესაბამისად, ის ვრცელდება საზღვაო გემებით ზღვებში, მდინარეებში, ტბებში, წყალსაცავებსა და სხვა სანაოსნო გზებზე მიმოსვლაზე, თუ არ არსებობს საქართველოს სხვა სპეციალური კანონი ან საერთაშორისო ხელშეკრულება.

საზღვაო კოდექსის მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მხარეთა უფლება-მოვალეობანი ტვირთის საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულების მიხედვით განისაზღვრება გაფორმების ადგილის კანონით, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საზღვაო კოდექსის 114-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ხელშეკრულება ტვირთის საზღვაო გადაზიდვის შესახებ არის წერილობითი ხელშეკრულება, რომლის თანახმად ტვირთის გადამზიდავი ან გამფრახტველი ვალდებულებას იღებს გადაზიდოს ტვირთი და ჩააბაროს იგი მიმღებს, ხოლო გამგზავნი ან დამფრახტველი კისრულობს გადაიხადოს გადაზიდვის ღირებულება (ფრახტი). ამავე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ტვირთის საზღვაო გადაზიდვის შესახებ“ კონვენციის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად საქართველოში მოქმედებს კონვენციები: „კონოსამენტის ზოგიერთი წესის უნიფიკაციის შესახებ“ 1924 წლის საერთაშორისო კონვენცია („ჰააგა-ვიზ ბის წესები“) და „ტვირთის საზღვაო გადაზიდვის შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1978 წლის კონვენცია („ჰამბურგის წესები“).

საზღვაო კოდექსის 117-ე მუხლის მიხედვით ამ თავში აღნიშნული წესები გამოიყენება ყველა იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის დადებულ ტვირთის საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოში გადაზიდვის ხელშეკრულება მოწესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით (შემდგომში - „სამოქალაქო კოდექსი“). სამოქალაქო კოდექსის 668-ე მუხლის მიხედვით, გადაზიდვის ხელშეკრულებით გადამზიდველი ვალდებულია შეთანხმებული საზღაურის გადახდით გადაიტანოს ტვირთი ან გადაიყვანოს მგზავრი დანიშნულების ადგილზე.

სამოქალაქო კოდექსის 730-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს სატრანსპორტო ექსპედიციის ცნებას, რომლის მიხედვით, ექსპედიციის ხელშეკრულებით ექსპედიტორი კისრულობს თავისი სახელითა და შემკვეთის ხარჯზე განახორციელოს ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული მოქმედებანი. შემკვეთი მოვალეა გადაიხადოს შეთანხმებული პროვიზია.

2.2.2. საერთაშორისო კანონმდებლობის მიმოხილვა

2.2.2.1 „კონოსამენტის ზოგიერთი წესის უნიფიკაციის შესახებ“ 1924 წლის საერთაშორისო კონვენცია („ჰააგა-ვიზბის წესები“)[11]

„კონოსამენტის ზოგიერთი წესის უნიფიკაციის შესახებ“ 1924 წლის საერთაშორისო კონვენციის („ჰააგა-ვიზბის წესები“) პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, გადაზიდვის ხელშეკრულება მოიცავს მხოლოდ იმ ხელშეკრულებას, რომელიც რეგულირდება კონოსამენტით ან სხვა მსგავსი აღმჭურველი დოკუმენტით, იმ ფარგლებში, რამდენადაც ეს დოკუმენტი უკავშირდება საზღვაო გადაზიდვას, მათ შორის ნებისმიერი კონოსამენტით ან ზემოთ აღნიშნული სხვა მსგავსი დოკუმენტით, რომელიც გაცემულია

[11] კონვენციის ტექსტის ინგლისური ვერსია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://www.fog.it/convenzioni/inglese/visby-1979.htm

ჩარტერის მხარის მიერ იმ მომენტიდან, როცა ასეთი კონოსამენტი ან მსგავსი აღმჭურველი დოკუმენტი დაარეგულირებს ურთიერთობებს გადამზიდავსა და მის მფლობელს შორის.

2.2.2.2. „ტვირთის საზღვაო გადაზიდვის შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1978 წლის კონვენცია („ჰამბურგის წესები“)[12]

„ტვირთის საზღვაო გადაზიდვის შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1978 წლის კონვენციის („ჰამბურგის წესები“) პირველი მუხლის მე-6 ნაწილი ტვირთის საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულებას განმარტავს როგორც ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც გადამზიდავი, ფრახტის სანაცვლოდ, კისრულობს ვალდებულებას გადაზიდოს ტვირთი ერთი პორტიდან მეორე პორტში. თუმცა, ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს ტვირთის როგორც საზღვაო, ასევე სხვა საშუალებით გადაზიდვას, წინამდებარე კონვენციის მიზნებისთვის ჩაითვლება საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულებად მხოლოდ საზღვაო გადაზიდვის ფარგლებში.

თავი III. შესაბამისი ბაზარი

3.1. შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება მე-6 მუხლის მიზნებისათვის

შესაბამისი ბაზარი არის საქონლის, ურთიერთჩანაცვლებადი საქონლის ან მომსახურების მიმოქცევის სფერო გარკვეულ ტერიტორიაზე, რომლის საზღვრებიც დგინდება საქონლის/მომსახურების შეძენის ეკონომიკური შესაძლებლობებისა და მიზანშეწონილობის გათვალისწინებით და შეიძლება მოიცავდეს საქართველოს მთელ ტერიტორიას, საქართველოს ტერიტორიის ნაწილს, ან საქართველოს მთელ ტერიტორიას, ან მის ნაწილს სხვა ქვეყნის ტერიტორიასთან, ან მის ნაწილთან ერთად. კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ (შემდგომში - „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები“) მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი პარამეტრების გამოყენებით:

ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;

ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;

გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

ქმედების დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად დაკვალიფიცირებისათვის მნიშვნელოვანია, აკრძალული ქმედება ჩადენილი იყოს შესაბამის

[12] კონვენციის ტექსტის ინგლისური ვერსია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/a_conf89_13.pdf

ბაზარზე დომინანტი სუბიექტის მიერ, რაც თავის მხრივ, ფასდება მისი საბაზრო ძალაუფლებით. სუბიექტის დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტად მიჩნევისათვის აუცილებელია, პირველ რიგში, განისაზღვროს შესაბამისი ბაზარი.

3.1.1. შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.

სააგენტო, მოკვლევის ფარგლებში, შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის მიზნით, ახორციელებს დეტალურ ანალიზს, ვინაიდან სუბიექტის დომინანტობისა და საბაზრო ძალაუფლების მასშტაბის დასადგენად მნიშვნელოვანია ბაზრის ყველა შესაძლო სუბიექტის და მომსახურების მიწოდების ფორმების იდენტიფიცირება. ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენისას, პირველ რიგში, შესაბამისი ბაზარი უნდა განისაზღვროს ისე, რომ ეკონომიკური აგენტის წინაშე მდგარი კონკურენტული შეზღუდვები, ანუ მოთხოვნისა და მიწოდების მხარის ჩანაცვლება რაც შეიძლება ზუსტად იყოს განსაზღვრული. შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა, ასევე, უზრუნველყოფს ერთმანეთის კონკურენტი ეკონომიკური აგენტების სწორ იდენტიფიცირებას, რაც ეკონომიკური აგენტის საბაზრო ძალაუფლების ხარისხის დადგენის შესაძლებლობას იძლევა.

მომჩივანი საექსპედიტორო კომპანია შპს ,,MGL GEORGIA“ აპელირებს ჩინური კომპანიის Cosco-ს ოფიციალური აგენტის, შპს ,,ჯნს ჯორჯიას“ დომინანტურ მდგომარეობაზე შესაბამის ბაზარზე და აღნიშნავს, რომ მოპასუხის მხრიდან ადგილი აქვს საკონტეინერო ტვირთების საზღვაო გადაზიდვის მომსახურების მიწოდებაზე უარის თქმას.

არარეზიდენტი კომპანია Cosco, სხვა საზღვაო ხაზების მსგავსად, საკუთარი აგენტის, შპს ,,ჯნს ჯორჯიას“ მეშვეობით ახორციელებს საქართველოდან საკონტეინერო, ასევე, სხვა სახის ტვირთების საზღვაო გადაზიდვის და შემოტანის მომსახურებას. აღნიშნული მომსახურების დამკვეთები არიან საექსპედიტორო (ტვირთების გადაზიდვაზე პასუხისმგებელი) კომპანიები და სხვა დაინტერესებული სუბიექტები.

საზღვაო ნავსადგურში საკონტეინერო ტვირთების შემოტანისას, საზღვაო ხაზი ნავსადგურის მომსახურებით უზრუნველყოფს ტვირთის გემიდან ჩატვირთვას. ხოლო, შემდგომ ხდება მის მიერ ნაქირავები სატრანსპორტო საშუალებების მეშვეობით ტვირთის საბაჟო ტერმინალში გადატანა და სატერმინალო კომპანიები საზღვაო ხაზებს უწევენ სატერმინალო მომსახურებას. ტერმინალებიდან კი, ტვირთი გააქვთ ექსპედიტორებს, ან მფლობელებს.

იგივე სიტუაციაა საზღვაო ნავსადგურიდან ტვირთის გატანის შემთხვევაშიც, იმ განსხვავებით, რომ ტერმინალამდე ტვირთი მიაქვთ მის დამკვეთებს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ტვირთებისთვის საჭირო სხვადასხვა მოცულობის კონტეინერები, უმეტეს შემთხვევაში საზღვაო ხაზების საკუთრებაშია.

როგორც ვხედავთ, ნავსადგურებიდან როგორც ტვირთის გატანის, ასევე, მისი შემოტანის პროცესში, მომსახურების რამდენიმე სტადიას აქვს ადგილი. თუმცა, საზღვაო ხაზების უშუალო და პროფილური მომსახურებაა ტვირთების ნავსადგურებიდან საზღვაო გადაზიდვა და შემოტანა. ამის უზრუნველსაყოფად, სხვა დანარჩენ თანმდევ მომსახურებას ისინი იძენენ შესაბამისი პროფილის კომპანიებისგან.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, აგრეთვე, იქიდან გამომდინარე, რომ ტარიფების, ტვირთბრუნვის, გეოგრაფიული, ლოგისტიკური და სხვა სპეციფიური ფაქტორების მიხედვით, საერთაშორისო გადაზიდვებში საზღვაო გადაზიდვების მომსახურება ჩაუნაცვლებელია სახმელეთო, სარკინიგზო და სატრანსპორტო გადაზიდვებით, მოკვლევის მიზნებისთვის, შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრად განისაზღვრა **საკონტეინერო ტვირთების საზღვაო გადაზიდვა და შემოტანა.**

3.1.2 შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-11 მუხლის შესაბამისად, სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები წარმოადგენს ტერიტორიას, რომელზეც შერჩეული ჯგუფის მყიდველები იძენენ ან აქვთ ეკონომიკური, ტექნიკური და სხვა შესაძლებლობები შეიძინონ განსახილველი საქონელი/მომსახურება.

უკვე აღინიშნა, რომ საჩივარი შეეხება კომპანია Cosco-ს ოფიციალური აგენტის, შპს ,,ჯნს ჯორჯიას“ მხრიდან ფოთის ნავსადგურიდან საზღვაო გადაზიდვის მომსახურებაზე უარის თქმას.

საქართველოში საკონტეინერო ტვირთების საზღვაო გადაზიდვები ხორციელდება ფოთის და ბათუმის საზღვაო ნავსადგურებიდან. თეორიული თვალსაზრისით, შესაძლებელია ფოთისა და ბათუმის ტერიტორია განხილული ყოფილიყო ერთიან გეოგრაფიულ ბაზრად. თუმცა, სააგენტოს მიერ შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრების დადგენისას გათვალისწინებულ იქნა ის გარემოება, რომ შერჩეული ჯგუფის საზღვაო გადაზიდვების მომსახურების მყიდველებს წარმოადგენენ ტვირთის მფლობელები, ან საექსპედიტორო კომპანიები, რომლებსაც ტვირთის მინიმუმ ერთ-ერთი დანიშნულების ადგილად მითითებული აქვთ ფოთის ნავსადგური (ან ფოთში მდებარე საკონტეინერო ტერმინალი). აქედან გამომდინარე, განსახილველ შემთხვევაში იმ ტვირთებისათვის, რომლებიც ტვირთის მფლობელთა მითითებით უნდა შევიდნენ ფოთის ტერიტორიაზე არსებულ საკონტეინერო ტერმინალში და ფოთის ნავსადგურიდან უნდა მოხდეს მათი გადაზიდვა, ან შემოტანა, არარელევანტური იქნება ნებისმიერი სხვა ნავსადგური.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ფოთის საზღვაო ნავსადგურის სიმძლავრეები, იქ მოქმედი ტერმინალების მომსახურების მოცულობები, მნიშვნელოვნად აღემატება ბათუმისას და დიდი მოცულობის ტვირთებისათვის მოცდენის დროც ნაკლებია. ფოთის ნავსადგურიდან მომხმარებლისთვის უფრო მრავალფეროვანია ტვირთების გადაზიდვის მიმართულებებიც. შესაბამისად, იმ მიმართულებებზე, რომლებზეც ბათუმის ნავსადგურიდან არ ხდება საკონტეინერო ტვირთების საზღვაო გადაზიდვა, ან შემოტანა, ფოთის ნავსადგურს ალტერნატივა არ გააჩნია.

ამასთან, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მაშინაც კი, თუ ბათუმის საზღვაო ნავსადგური განხილული იქნება სს ,,კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის" კონკურენტად შესაბამის გეოგრაფიულ საზღვრებში, საბაზრო სტრუქტურა პრაქტიკულად მაინც უცვლელი დარჩება (დომინანტური მდგომარეობის დადასტურების კუთხით). აღნიშნულთან დაკავშირებით ასევე, არსებობს სააგენტოს პრაქტიკა, სადაც დადგენილ იქნა, რომ ბათუმის საზღვაო ნავსადგური ძირითადად ე.წ. ,,სველ ტვირთებზეა" ორიენტირებული და მშრალი საკონტეინერო ტვირთების მომსახურების წილი, უმნიშვნელოა როგორც მისი მთლიანი მომსახურების მოცულობაში, ასევე ფოთის საზღვაო ნავსადგურთან მიმართებაში. სააგენტოს ხელთარსებული მონაცემების მიხედვით, უკანასკნელ წლებში მშრალი საკონტეინერო ტვირთების გადაზიდვასა და შემოტანაში ფოთის საზღვაო ნავსადგურზე მოდის 75-80%. ამასთან, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა ჯერჯერობით დაწყებულიც კი არ არის და ყულევის ტერმინალში საერთოდ არ ხდება მშრალი ტვირთების მიღება[13].

ნიშანდობლივია ისიც, რომ 2019-2021 წლებში, Cosco და შესაბამისად მისი აგენტი შპს ,,ჯნს ჯორჯია" საერთოდ არ ოპერირებდნენ ბათუმის საზღვაო ნავსადგურში და მხოლოდ 2022 წლის ოქტომბრიდან დაიწყეს იქ საქმიანობა.

როგორც ბაზრის პროდუქციული საზღვრების ნაწილში აღინიშნა, საზღვაო ხაზები საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად, იძენენ სხვადასხვა სახის მომსახურებას (საკონტეინერო ტვირთების ავტოსატრანსპორტო საშუალებებში ჩატვირთვა-გადმოტვირთვა, ტერმინალში ავტოსატრანსპორტო გადაზიდვა, ტერმინალში მათი შენახვა-დამუშავება, გემზე ჩატვირთვა-გადმოტვირთვა). თუმცა, უშუალოდ მათი მომსახურების პროფილს წარმოადგენს ნავსადგურიდან ტვირთების საზღვაო გადაზიდვა და გადმოზიდვა, რომლებიც მომსახურების ადგილის თვალსაზრისით, ხორციელდება ფოთის საზღვაო ნავსადგურიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვარი არის ფოთის საზღვაო ნავსადგურის ტერიტორია.**

---

[13] სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 21 აპრილის N04/91 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 21 ივნისის N81 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ" (გადაწყვეტილების სრული ტექსტი ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე" https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/def47d73b32b4cf0a9538ce94addd593.pdf)

პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების გათვალისწინებით, მოკვლევის მიზნებისთვის, შესაბამის ბაზრად განისაზღვრა **ფოთის ნავსადგურიდან საკონტეინერო ტვირთების საზღვაო გადაზიდვა და შემოტანა.**

3.1.3. შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო

დროით ჩარჩოსთან მიმართებაში სააგენტო განმარტავს, რომ შესაბამისი ბაზარი ფუნქციონირებს უწყვეტად, წელიწადის ნებისმიერ დროს, მოთხოვნის შესაბამისად, ამიტომ ბაზარს სპეციფიური დროითი ჩარჩო არ გააჩნია.

3.1.4. შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტები და მათი საბაზრო წილები

მოკვლევის ფარგლებში, სს ,,კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურიდან“ მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოკვლევის ჯგუფის მიერ განისაზღვრა 15 საზღვაო გადამზიდავი კომპანია (საზღვაო ხაზი), რომლებიც 2019-2022 წლებში ოპერირებდნენ შესაბამის ბაზარზე და მათგან გამოთხოვილ იქნა საჭირო დოკუმენტაცია. როგორც გაირკვა, 3 ეკონომიკური აგენტი, კერძოდ შპს ,,ადი კონტეინერ ჯორჯია“ (ს/ნ 402157205), შპს ,,სისამ კავკასუსი“ (ს/ნ 415096247) და შპს ,,ელ ეი ემ შიფინგ ეჯენსიზ ჯორჯია“ (ს/ნ 245625373), საანგარიშო პერიოდში არ აწარმოებდნენ საკონტეინერო ტვირთების გადაზიდვას და მათი მონაცემები არ იქნა გათვალისწინებული საბაზრო წილების დათვლის პროცესში.

საბოლოოდ, დაჯამებულ იქნა 12 ეკონომიკური აგენტის მონაცემები და განხორციელდა ბაზრის შეფასება გადაზიდული და შემოტანილი კონტეინერების ჯამური რაოდენობის (TEU) მიხედვით, ვინაიდან იგი გაცილებით რელევანტური მაჩვენებელია სატრანსპორტო კომპანიებისთვის, ვიდრე ერთობლივი ბრუნვა. ამასთან, შეუძლებელია საზღვაო ტრანსპორტირებისგან მიღებული შემოსავლების სრული მოცულობის დადგენა (აღრიცხვა) ტვირთების შემოტანის შემთხვევაში, უცხოურ საზღვაო ხაზებსა და საქართველოში მათ აგენტ კომპანიებს შორის მისი ცალ-ცალკე მიღების გამო.

2019 წელს, კომპანიების მიერ გადაზიდული და შემოტანილი საკონტეინერო ტვირთების ჯამური რაოდენობა 303 662 TEU-ს შეადგენდა. აქედან, შპს ,,ჯნს ჯორჯიას“ - [redacted]-ს, ხოლო მისი საბაზრო წილი [redacted]% უტოლდებოდა. ბაზრის კონცენტრაციის დონე შეადგენდა 1933.43 ერთეულს, ანუ ბაზარი ზომიერად კონცენტრირებული იყო (დიაგრამა N1).

დიაგრამა N1



2020 წელს, კომპანიების მიერ გადაზიდული და შემოტანილი საკონტეინერო ტვირთების ჯამური რაოდენობა 228 172 TEU-ს, ხოლო შპს ,,ჯნს ჯორჯიასი“ – [redacted]-ს შეადგენდა. შპს ,,ჯნს ჯორჯიას“ საბაზრო წილი [redacted]%, ბაზრის კონცენტრაციის დონე კი 1994.47 ერთეულის ტოლი, ანუ ზომიერად კონცენტრირებული იყო (დიაგრამა N2).

დიაგრამა N2



2021 წელს საზღვაო კომპანიების მიერ გადაზიდული და შემოტანილი საკონტეინერო ტვირთების ჯამური რაოდენობა 190 169 TEU-ს შეადგენდა. აქედან, შპს ,,ჯნს ჯორჯიას“ ტვირთების რაოდენობა [redacted] -ს, ხოლო მისი საბაზრო წილი [redacted] %-ს უტოლდებოდა. ბაზრის კონცენტრაციის დონე 1755.18 ერთეულს შეადგენდა და ამ შემთხვევაშიც, ბაზარი ზომიერად კონცენტრირებული იყო (დიაგრამა N3).

დიაგრამა N3



2022 წელს საზღვაო კომპანიების მიერ გადაზიდული და შემოტანილი საკონტეინერო ტვირთების ჯამური რაოდენობა 225 858 TEU-ს შეადგენდა. აქედან, შპს ,,ჯნს ჯორჯიასი“ [redacted] -ს, ხოლო მისი საბაზრო წილი [redacted] %-ს უტოლდებოდა. ბაზრის კონცენტრაციის დონე 1827.84 ერთეულს შეადგენდა და ამ შემთხვევაშიც, ბაზარი ზომიერად კონცენტრირებული იყო (დიაგრამა N4).

დიაგრამა N4



როგორც წარმოდგენილი მონაცემები ცხადყოფს, მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს, შპს ,,ჯნს ჯორჯიას“ 2019-2022 წლებში არ უფიქსირდება დომინანტური მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე, გადაზიდული და შემოტანილი საკონტეინერო ტვირთების რაოდენობის მიხედვით.

ამასთან, მონაცემებში ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ჩართვის შემთხვევაში, შპს ,,ჯნს ჯორჯიას“ საბაზრო წილები კიდევ უფრო შემცირდებოდა.

3.2. შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება მე-11³ მუხლის მიზნებისათვის

საჩივარში მომჩივანი ეკონომიკური აგენტი შპს ,,MGL GEORGIA“ მიუთითებს მოპასუხე შპს ,,ჯნს ჯორჯიას“ მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11³ მუხლის დარღვევის ფაქტზეც, რაც გამოიხატება მისი რეპუტაციის შემლახველი ინფორმაციების გავრცელებაში. ხსენებული მუხლის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ კონკურენტ კომპანიებზე. იმის დასადგენად, არიან თუ არა აღნიშნული კომპანიები ერთმანეთის კონკურენტები, საჭიროა განისაზღვროს ის შესაბამისი ბაზარი, რომელზეც ისინი ოპერირებენ.

3.2.1. შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები

როგორც უკვე აღინიშნა, „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.

მოკვლევის ფარგლებში, კანონის 11³ მუხლის მიზნებისთვის, სააგენტოს მიზანს წარმოადგენდა არა ის, რომ ზუსტად განესაზღვრა ბაზრის პროდუქციული საზღვრები, არამედ დაედგინა, მოქმედებენ თუ არა მომჩივანი და მოპასუხე ერთსა და იმავე ბაზარზე. ამ კუთხით, ძირითად მექანიზმს წარმოადგენდა ეკონომიკური აგენტების მხრიდან მომხმარებლისათვის შეთავაზებული მომსახურების შესახებ ინფორმაციის ანალიზი.

აღნიშნული ინფორმაციის დამუშავებით, სააგენტო მიზნად ისახავდა დაედგინა, თუ რამდენად შეიძლება იყოს შპს „MGL GEORGIA“-ს მხრიდან მომხმარებლისთვის შეთავაზებული პროდუქცია, ან ამ პროდუქციის ნაწილი ამ უკანასკნელის მიერ აღქმული, როგორც ჩანაცვლებადი იმ პროდუქციისა ან პროდუქციის ნაწილისა, რომელსაც შპს ,,ჯნს ჯორჯია“ სთავაზობს.

კომპანიების მიერ შეთავაზებული მომსახურების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ორივე მათგანი ახორციელებს საექსპედიტორო მომსახურების (ტვირთების გადაზიდვის ორგანიზება) მიწოდებას ქვეყნის შიგნით და მის გარეთ, სხვადასხვა სახის სატრანსპორტო საშუალებებით.

მომჩივანი აპელირებს იმაზე, რომ მოპასუხემ მას წაართვა კლიენტები, რაც, ასევე, ხაზს უსვამს ამ კომპანიების მიერ შეთავაზებული მომსახურების ურთიერთჩანაცვლებას.

ამასთან, ორივე კომპანია მომხმარებელს სთავაზობს ურთიერთჩანაცვლებად პროდუქტს - საექსპედიტორო მომსახურებას. შესაბამისად, კომპანიების მიერ შეთავაზებული პროდუქციისა და მომსახურების ანალიზი ცხადყოფს, რომ მომჩივანი და მოპასუხე ეკონომიკური აგენტები მოქმედებენ ერთსა და იმავე სასაქონლო ბაზარზე და წარმოადგენენ

ერთმანეთის კონკურენტებს პროდუქციული ნიშნით **საექსპედიტორო მომსახურების მიწოდების ბაზარზე.**

3.2.2. შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები

უკვე აღინიშნა ისიც, რომ „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-11 მუხლის თანახმად, სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები წარმოადგენს ტერიტორიას, რომელზეც შერჩეული ჯგუფის მყიდველები იძენენ ან აქვთ ეკონომიკური, ტექნიკური და სხვა სახის შესაძლებლობები, შეიძინონ განსახილველი საქონელი/მომსახურება.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ამ კომპანიათა ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საექსპედიტორო მომსახურება, რომელსაც მთელი ქვეყნის მასშტაბით ეწევიან, ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრად დადგინდა საქართველოს მთლიანი ტერიტორია. შესაბამისად, ისინი ბაზრის გეოგრაფიულ ჭრილშიც მიჩნეულ იქნენ კონკურენტებად.

3.2.3. შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო

საექსპედიტორო მომსახურების მიწოდების ბაზარი არ წარმოადგენს სეზონური ხასიათის ბაზარს და ფუნქციონირებს მთელი წლის განმავლობაში. ამ ბაზარზე არ შეინიშნება რაიმე სახის წყვეტა წელიწადის დროების მიხედვით, შესაბამისად, მას არ გააჩნია რაიმე სახის დროითი ჩარჩო.

თავი IV. დომინანტური მდგომარეობა

შპს ,,ჯნს ჯორჯიას“ დომინანტური მდგომარეობის შეფასებისას უნდა დადგინდეს, წარმოადგენს თუ არა ის კანონის მე-6 მუხლით დადგენილი აკრძალვების უშუალო სუბიექტს. აღსანიშნავია, რომ კონკურენციის კანონმდებლობა ეკონომიკურ აგენტებს არ უკრძალავს ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის ფლობას. კონკურენციის სამართალი აწესებს აკრძალვებს მხოლოდ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტებთან მიმართებით, რათა დაცულ იქნეს ჯანსაღი კონკურენტული გარემო, რომელიც, თავის მხრივ, საბოლოო მომხმარებლების კეთილდღეობის უზრუნველყოფის საფუძველს წარმოადგენს.

უშუალოდ კანონის მე-6 მუხლის ანალიზისა და სადავო ქმედებების შეფასებამდე, მოცემულ შემთხვევაში, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გამახვილდეს სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებულ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპსა და ე.წ. კონტრაჰირების იძულებაზე. მნიშვნელოვანია, ზუსტად განისაზღვროს, თუ რა ადგილი შეიძლება ჰქონდეს სახელშეკრულებო თავისუფლების კერძოსამართლებრივ პრინციპს

დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის კონკრეტული ქმედებების კანონის მე-6 მუხლთან მიმართებაში შეფასებისას.

ხელშეკრულების დადების თავისუფლება სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია. ხელშეკრულების თავისუფლების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სსკ-ის 319-ე მუხლი.[14] კერძოდ, სსკ-ის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ, კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი.“ აღნიშნული ნორმა ასახავს სამოქალაქო სამართლით აღიარებული ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს, რომელიც ხელშეკრულების დადების თავისუფლებასთან ერთად მოიცავს ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლებას. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ ხელშეკრულების შინაარსი.[15] ხელშეკრულების დადების თავისუფლება პირის უმოქმედობასაც მოიცავს - უფლებას არ დადოს ხელშეკრულება. ამიტომ, მას ხელშეკრულების დადების ნეგატიურ თავისუფლებასაც უწოდებენ.[16] ამასთან, სახელშეკრულებო თავისუფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ სამართლებრივ კატეგორიას[17] და იგი არსებობს დადგენილი წესრიგის ფარგლებში.[18] ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა ვრცელდება არა მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივ, არამედ მთლიანად კერძოსამართლებრივ ურთიერთობებზე.[19] შეზღუდვა შესაძლოა ვრცელდებოდეს როგორც შინაარსის განსაზღვრის, ასევე კონტრაჰენტის არჩევის თავისუფლებაზე და ა.შ.

კანონმდებელი აღნიშნული თავისუფლების შემზღუდველ ერთ-ერთ გარემოებას სწორედ ეკონომიკური აგენტის დომინანტურ მდგომარეობას უკავშირებს. კერძოდ, დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის საბაზრო ძალაუფლების გათვალისწინებით, კანონმდებელი კანონის მე-6 მუხლით მას განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს და უკრძალავს გარკვეული სახისა და ფორმის ქმედებების განხორციელებას. აღნიშნული აკრძალვა კი, ბუნებრივია, გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის სახელშეკრულებო თავისუფლებას. შესაბამისად, კანონის მე-6 მუხლი წარმოადგენს ეკონომიკური აგენტის სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთ თვალსაჩინო გამოვლინებას.

ამასთან, სააგენტო განმარტავს, რომ კონკურენციის კანონმდებლობის გადმოსახედიდან, შესაბამის ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის ქონა, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება აღნიშნული ეკონომიკური აგენტის მომეტებულ პასუხისმგებლობას. სააგენტო იზიარებს დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის სპეციალურ ვალდებულებებთან

---

[14] საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა, გადაწყვეტილება №ას-664-635-2016.
[15] საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №ას-1300-1320-2011.
[16] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 17.10.2017, წიგნი III, კარი I, თავი I, მუხლი 319-ე.
[17] *ჯულელი, გ.(რედ),* სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2014, გვ. 56.
[18] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 17.10.2017, წიგნი III, კარი I, თავი I, მუხლი 319-ე.
[19] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 17.10.2017, წიგნი III, კარი I, თავი I, მუხლი 319-ე.

მიმართებით ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ ერთგვაროვან პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც, ეკონომიკურ აგენტს, საკუთარი საბაზრო ძალაუფლებიდან გამომდინარე, შესაბამის ბაზარზე მომეტებული პასუხისმგებლობა ეკისრება, რომლის ფარგლებიც, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს.[20] TFEU-ს 102-ე მუხლით განსაზღვრული ვალდებულებიდან გამომდინარეობს, რომ დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტს ჩამორთმეული აქვს უფლება, განახორციელოს კონკრეტული ხასიათის ქმედებები, რომლებიც შესაძლოა, დასაშვები იყოს იმ შემთხვევაში, თუ იგი განხორციელდებოდა დომინანტური მდგომარეობის არმქონე ეკონომიკური აგენტის მიერ.[21] მართალია დომინანტური მდგომარეობა არ ართმევს ეკონომიკურ აგენტს უფლებას, დაიცვას საკუთარი კომერციული ინტერესები, თუმცა აღნიშნული ქმედებები დაუშვებელი და აკრძალულია, თუ მათ ძირითად მიზანს ან შედეგს წარმოადგენს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.[22] დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტს ეკრძალება მიიღოს ისეთი ზომები, რომელიც ზღუდავს კონკურენტების სამეწარმეო საქმიანობას და აფერხებს ჯანსაღი კონკურენტული გარემოს მდგრად განვითარებას.[23] სწორედ ამიტომ, კანონმდებელი კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მოქმედების თავისუფლებისთვის კანონის მე-6 მუხლში მოცემული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვის გზით აწესებს აღნიშნული თავისუფლების ლიმიტს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალში არსებული სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი არ არის აბსოლუტური და აღნიშნული თავისუფლების ერთ-ერთ ზღვარს წარმოადგენს კანონის მე-6 მუხლი, რომელიც დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტებისთვის აწესებს კონკრეტულ აკრძალვებს. ამდენად, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი არ წარმოადგენს დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მხრიდან მიწოდებაზე უარის გამამართლებელ საფუძველს, ვინაიდან დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება არის სწორედ ის ზღვარი, რომელზეც გადის მსგავსი საბაზრო ძალაუფლების მქონე ეკონომიკური აგენტების სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლები.

მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში, შპს ,,ჯნს ჯორჯიას" სადავო ქმედებებს სააგენტო აფასებს კანონის მე-6 მუხლის მეორე პუნქტში მოცემულ ქმედებებთან მიმართებაში. ამდენად,

---

[20] ECLI:EU:C:1983:313, Case 322/81, *"Michelin"*, § 57; ECLI:EU:T:1994:246, Case T-83/91; *"Tetra Pak International SA"*, §57; ECLI:EU:T:1994:246, Case T-83/91 *„Tetra Pak II"*, §114; ECLI:EU:T:1998:183, Case T-111/96, *„ITT Promedia"*, §139, ECLI:EU:T:1999:246, Case T-228/97, *„Irish Sugar"*, §112. ECLI:EU:T:2003:250, Case T-203/01, *„Michelin"*, § 97

[21] ECLI:EU:T:1998:183, Case T-111/96, *„ITT Promedia"*, §139; Case 322/81 Michelin v Commission [1983] ECR 3461, paragraph 57.

[22] ECLI:EU:T:1999:246, Case T-228/97, *„Irish Sugar,"* §112

[23] *Frédéric, M.,* Politiques européennes de concurrence et économie sociale de marché, Document de travail OFCE, n° 2010-30, novembre 2010 გვ.12, ხელმისაწვდომია: https://www.ofce.sciences-po.fr/pdf/dtravail/WP2010-30.pdf

აუცილებელია განისაზღვროს, თუ რამდენად ემთხვევა შესაფასებელი სადავო ქმედებები კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემულ ქმედებათა რომელიმე შემადგენლობას.

სააგენტო განმარტავს, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემულ ქმედებათა შემადგენლობის განმარტება და მათი ზუსტი შინაარსის განსაზღვრა უნდა მოხდეს საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის ამოცანების, დასახელებული ნორმის მიზნებისა და ამ ნორმით დაცული სამართლებრივი სიკეთეების გათვალისწინებით. ამდენად, აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს ერთი მხრივ, მთლიანად კანონითა და მეორე მხრივ, კანონის მე-6 მუხლით დაცული სამართლებრივი სიკეთეები.

დასახელებული ნორმის განმარტებისა და შესაბამისი სამართლებრივი სიკეთეების იდენტიფიცირების პროცესში სააგენტო, უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელობს მეწარმეობის თავისუფლებასა და კონკურენციასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განვითარებული მნიშვნელოვანი პრაქტიკით. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით „მეწარმეობის თავისუფლება წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლების მნიშვნელოვან გამოვლინებას, ეკონომიკური მართლწესრიგის, ჯანსაღი და სიცოცხლისუნარიანი საბაზრო ურთიერთობების საფუძველს. მხოლოდ თავისუფალი მეწარმეობის დროსაა შესაძლებელი, მეწარმე სუბიექტი გახდეს კომერციული ურთიერთობების სრულფასოვანი თანამონაწილე და შეძლოს თავისი საქმიანი უნარ-ჩვევების სრულყოფილი გამოვლინება.“

სააგენტო განმარტავს, რომ კანონი ადგენს თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპებს, რაც თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია (კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი). მის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა, ეკონომიკური აგენტების ბაზარზე დაშვებისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა და ა.შ. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ასევე ის ფაქტი, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თავისუფალი კონკურენცია ორგანულადაა დაკავშირებული მეწარმეობის თავისუფლებასთან.[24]

ჯანსაღი და თავისუფალი კონკურენციის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს ეკონომიკური აგენტების მიერ საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სამეწარმეო საქმიანობის კონკურენტულ გარემოში თავისუფლად და დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობა. სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლებისა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ერთ-ერთ ელემენტსა და გამოხატულებას კი ნედლეულისა და გასაღების ბაზრებზე თავისუფალი წვდომისა და დაშვების შესაძლებლობა წარმოადგენს.

სწორედ ნედლეულისა და გასაღების ბაზრებზე თავისუფალი დაშვების შესაძლებლობა, როგორც ჯანსაღი კონკურენტული გარემოს განმაპირობებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი

[24] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის N1/2/411 გადაწყვეტილება, გვ. 12, § 5.

ფაქტორი, წარმოადგენს კანონის მე-6 მუხლით დაცულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეს იმდენად, რამდენადაც იგი იცავს ბაზარს დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ ბაზრის ცალმხრივი შეზღუდვისაგან. მსგავსი ეფექტისა თუ შედეგის მქონე ცალმხრივი ქმედება კი შესაძლოა გამოიხატებოდეს ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და დისკრიმინაციული პირობების დაწესებაში, რაც უდავოდ ზღუდავს კონკრეტული სუბიექტების სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლებას და საფრთხეს უქმნის ჯანსაღ კონკურენტულ გარემოს. შესაბამისად, თუ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ხდება შესაბამის ბაზარზე თავისუფალი დაშვების შესაძლებლობის რაიმე ფორმით შეზღუდვა ან დისკრიმინაციული პირობების დაწესება, იგი უდავოდ უნდა შეფასდეს კანონის მე-6 მუხლთან მიმართებაში.

უნდა აღინიშნოს ასევე ის გარემოება, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული ქმედების შემადგენლობათა ჩამონათვალი სრულ თანხვედრაშია ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში - „TFEU“) 102-ე მუხლში მოცემულ აკრძალულ ქმედებათა ნუსხასთან. ამდენად, კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული ქმედებათა აკრძალული შემადგენლობების განმარტებისას, ქართული კანონმდებლობისა და პრაქტიკის გათვალისწინებით, სააგენტო ხელმძღვანელობს TFEU 102-ე მუხლთან მიმართებაში ევროკავშირის შესაბამისი ორგანოების მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკით.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ არც კანონის მე-6 და არც TFEU 102-ე მუხლი პირდაპირ მითითებას არ შეიცავს ბაზარზე შესვლის ბარიერების დაწესებასთან დაკავშირებით. თუმცა, დასახელებული ნორმები შეიცავენ პირდაპირ მითითებას ბაზრის შეზღუდვის აკრძალვასთან დაკავშირებით. კერძოდ, კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და TFEU 102-ე მუხლის მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტების მიხედვით, აკრძალულია „ბაზრების მომხმარებელთა ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა.“

როგორც უკვე აღინიშნა, კანონის მე-6 მუხლის გამოყენების პირველ წინაპირობას წარმოადგენს შესაბამის ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის არსებობა. კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის მიხედვით, დომინანტური მდგომარეობა არის შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. თუ სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/აგენტები არ ჩაითვლება/ჩაითვლებიან დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება.

კანონის მე-5 მუხლის თანახმად, ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობა განისაზღვრება შესაბამის ბაზარზე მისი საბაზრო წილის, კონკურენტი ეკონომიკური

აგენტების ფინანსური მდგომარეობის, ბაზარზე შესვლის ან წარმოების გაფართოების ბარიერების, მყიდველის საბაზრო ძალაუფლების, ნედლეული წყაროების ხელმისაწვდომობის, ვერტიკალური ინტეგრაციის ხარისხის, ქსელური ეფექტებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

დომინანტური მდგომარეობის საკანონმდებლო დეფინიცია შინაარსობრივად იმეორებს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ მიდგომებს. კერძოდ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობა გულისხმობს ისეთ ეკონომიკურ ძალაუფლებას, რომელიც მას საშუალებას აძლევს, იმოქმედოს მისი კონკურენტების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად და შესაბამის ბაზარზე შეზღუდოს ეფექტიანი კონკურენცია. მართლმსაჯულების სასამართლო აღნიშნავს, რომ შესაბამის ბაზარზე არსებული საბაზრო წილი წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს დომინანტური მდგომარეობის დასადგენად. თუმცა, მართლმსაჯულების სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობა გამომდინარეობს სხვადასხვა ფაქტორების კომბინაციიდან, რომელთაგან ცალკე აღებული ერთ-ერთი ფაქტორი შესაძლოა არ იყოს საკმარისი მსგავსი საბაზრო ძალაუფლების დასადგენად.

სააგენტო ყურადღებას ამახვილებს კანონის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მეორე წინადადებაზე, სადაც კანონმდებელი გვთავაზობს საბაზრო წილის კონკრეტულ ნიშნულს, რომლის ქვემოთაც აუცილებელია სხვა დამატებითი მტკიცებულებების არსებობა იმისათვის, რომ დადგინდეს კონკრეტული ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობა. ამდენად, შესაძლებელია ეკონომიკურ აგენტს არ გააჩნდეს 40 პროცენტიანი საბაზრო წილი, თუმცა სხვა მტკიცებულებებისა თუ გარემოებების გათვალისწინებით, იგი მაინც ჩაითვალოს დომინანტური მდგომარეობის მქონედ. სხვაგვარად რომ ითქვას, საბაზრო წილის 40 პროცენტიანი ნიშნული ქმნის ერთგვარ „უსაფრთხო თავშესაფარს,“ რის შედეგადაც აღნიშნულ ზღვარს ქვემოთ არსებული საბაზრო წილი ქმნის იმის პრეზუმფციას, რომ ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობა (კონკურენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და მომხმარებლებისგან დამოუკიდებელი მოქმედების, ბაზარზე საქონლის მიმოქცევის პირობებზე გავლენის მოხდენისა და კონკურენციის შეზღუდვის შესაძლებლობა) არ არის სახეზე, თუ ამისათვის არ არსებობს სხვა გარემოებები ან/და მტკიცებულებები. მოცემულ საქმეში მოპასუხე ეკონომიკური აგენტის წილი შესაბამის ბაზარზე 2019-2022 წლებში არ აღემატებოდა [redacted]%-ს. თუმცა სააგენტო დომინანტური მდგომარეობის განსაზღვრისას არ ეყრდნობა მხოლოდ წილის მაჩვენებელს და მხედველობაში იღებს სხვა კრიტერიუმებსაც.

მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით (საქმე 27/76 United Brands Company v Commission), დომინანტური მდგომარეობა ფორმირდება რამდენიმე ფაქტორის ერთობლიობით, მაშინ, როდესაც ცალკე აღებული ფაქტორი დომინანტური მდგომარეობის

დადგენისათვის შესაძლებელია არ იყოს გადამწყვეტი.[25] თუმცა, ეკონომიკური აგენტის საბაზრო ძალაუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინდიკატორი შესაბამის ბაზარზე, ასევე, მისი საბაზრო წილია.[26] როგორც უკვე აღინიშნა, საბაზრო წილის ფლობის კონტექსტში, ერთმნიშვნელოვნად გამორიცხულია მოპასუხის დომინანტური მდგომარეობის არსებობა, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივანი საკუთარ საჩივარში აგრეთვე უთითებს ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობის შეფასების კიდევ ერთ ფაქტორზე, როგორიცაა ვერტიკალური ინტეგრაციის ხარისხი, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს განიხილოს აღნიშნული კატეგორია და მოპასუხის საბაზრო წილის პარალელურად, შეაფასოს მისი სავარაუდო დომინანტური მდგომარეობა ხსენებულ კრიტერიუმზე დაყრდნობით.

ვერტიკალური ინტეგრაცია განეკუთვნება ინტეგრაციის ერთ-ერთ სახეს, რომლის შედეგად ერთი ეკონომიკური აგენტის მიერ ხორციელდება საწარმოო პროცესის სხვადასხვა საფეხურის ფლობა და კონტროლი. ვერტიკალური ინტეგრაცია მიიღწევა ახალი ინვესტიციებით ან ვერტიკალური კონცენტრაციით. ვერტიკალური ინტეგრაციის ლეგიტიმური მიზნებია ეფექტიანობის ზრდა, დანახარჯების შემცირება, ახალ ბაზრებზე შესვლა და სხვა. ვერტიკალური ინტეგრაციის დროს შესაძლებელია მთელი რიგი დადებითი საბაზრო ეფექტების მიღწევა. ამავდროულად, ის შეიძლება დაუშვებლად ჩაითვალოს, თუ ინტეგრაციის შედეგად არსებობს რომელიმე (წარმოების ან დისტრიბუციის) ბაზარზე წვდომის შეზღუდვის ალბათობა. ამასთან, ვერტიკალურად ინტეგრირებული დომინანტი ეკონომიკური აგენტის ცალკეული ქმედებები შეიცავს მომეტებულ კონკურენტულ რისკებს. მაგალითად, სწორედ ასეთ ეკონომიკურ აგენტს შეუძლია დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, მარჟის შეზღუდვის, მიწოდებაზე უარის ან სხვა მსგავსი ქმედების სახით.[27]

ზოგადად, ვერტიკალური ინტეგრაციის ხარისხის შეფასებისას, ერთმანეთისგან განასხვავებენ 3 სახის ვერტიკალურ ინტეგრაციას: 1. პირდაპირი ინტეგრაცია (Forward Integration) - ამ შემთხვევაში შესაბამისი ბაზრის ზედა დონეზე მოქმედი ეკონომიკური აგენტი შეისყიდის ან შეერწყმის ქვედა დონეზე არსებულ სავაჭრო არხს. მაგალითად, როდესაც პროდუქტის მწარმოებელი (პირობითად ავტომობილების) კომპანია შეისყიდის საცალო ვაჭრობის ქსელს იმისათვის, რომ მან უშუალოდ მიყიდოს მზა პროდუქტი საბოლოო მომხმარებელს. 2. საპირისპირო (უკუსვლითი) ინტეგრაცია (Backward Integration) - მოცემულ შემთხვევაში ეკონომიკური აგენტის საქმიანობის გაფართოებას ადგილი აქვს ე.წ. უკუსვლით ანუ შესაბამისი ბაზრის ქვედა დონიდან ზედა დონისკენ მიმართულებით. უკუსვლითი ინტეგრაცია ეკონომიკურ აგენტს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ მან უშუალო წვდომა მოიპოვოს იმ ნედლეულზე, რომელიც საბოლოო პროდუქტის შექმნისთვის არის

[25] 66-ე პარაგრაფი.

[26] აღნიშნული მიდგომა ასევე გამოყენებულია კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 23 იანვრის N04/15 ბრძანებაში.

[27] კონკურენციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 2019, გვ. 63.

აუცილებელი. მაგალითად, საავტომობილო საწვავით მოვაჭრე ეკონომიკური აგენტის მიერ ნავთობის გადამამუშავებელ ქარხანაზე ფლობის/კონტროლის მოპოვება ან სმარტფონების მწარმოებელი კომპანიის მიერ იმ საწარმოს შესყიდვა, რომელიც თავის მხრივ აწარმოებს მოწყობილობის ეკრანებს (ან მაგალითად ნახევარგამტარ ჩიპებს, რომელიც ასეთ მოწყობილობაში გამოიყენება). 3. დაბალანსებული ინტეგრაცია (Balanced Integration) - ვერტიკალური ინტეგრაციის აღნიშნული სახე რეალურად არ წარმოადგენს რაიმე დამოუკიდებელ კატეგორიას, არამედ ის არის ზემოთ განხილული ორი შემთხვევის კომბინირებული ვარიანტი. ასეთ შემთხვევაში განიხილება მიწოდების ჯაჭვის შუა რგოლში მყოფი ეკონომიკური აგენტის ინტეგრაცია როგორც ზედა, აგრეთვე ქვედა დონეების მიმართულებით.[28]

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ეკონომიკურ აგენტს უფრო მეტად შეუძლია მიაღწიოს ვერტიკალურ ინტეგრაციას, მიმწოდებლების, მწარმოებლების, დისტრიბუტორების, სავაჭრო ქსელის შესყიდვის ან ანალოგიური საქმიანობის განმახორციელებელი საკუთარი კომპანიების დაარსების გზით, ვიდრე სხვადასხვა კომპანიებთან მომსახურების ხელშეკრულებების დადების მეშვეობით (Outsourcing).

განსახილველი საქმის ფარგლებში მომჩივანი ვერტიკალურ ინტეგრაციას განმარტავს, როგორც საბაზრო მდგომარეობას, რომელიც ინდუსტრიის ღირებულების ჯაჭვის სხვადასხვა ნაწილებში ერთეულების შექმნით, ან ამ ნაწილებში მოქმედი კომპანიების შთანთქმით მიიღწევა და რასაც მომჩივანის აზრით, ადგილი აქვს სწორედ მოცემულ შემთხვევაში. სააგენტო ცალ-ცალკე მიუთითებს იმ გარემოებების თაობაზე, თუ რამდენად მიაღწია მოპასუხემ ვერტიკალურ ინტეგრაციას განსახილველ შემთხვევაში:

1. ახალი ინვესტიციების განხორციელება - ინვესტიციების განხორციელება შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით. კერძოდ:

1. ახალი კომპანიის დაარსებით - საქმის მასალებით არ დგინდება, რომ მოპასუხემ ბაზრის ქვედა ე.ი. საექსპედიტორო დონეზე ახალი კომპანია დააარსა;

2. მოქმედი საწარმოს შესყიდვით - საქმის მასალებით არ დგინდება, რომ მოპასუხემ ბაზრის ქვედა ე.ი. საექსპედიტორო დონეზე მოქმედი რომელიმე კომპანია შეისყიდა;

3. საკუთარი კომპანიის საქმიანობის სფეროს გაფართოებით - საქმის მასალებით დგინდება, რომ მოპასუხე ოპერირებს არა მხოლოდ შესაბამისი ბაზრის ზედა დონეზე საზღვაო აგენტის სახით, არამედ ქვედა დონეზეც საექსპედიტორო მომსახურების გამწევი კომპანიის სახით.

[28] იხ., ვებ-გვერდი www.investopedia.com [ბოლო ნახვის თარიღი: 08.06.2023].

თუმცა სააგენტო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ვერტიკალური ინტეგრაციის შეფასებისას მნიშვნელოვანია დგინდებოდეს საწარმოო პროცესის საფეხურის ფლობისა და კონტროლის გარემოება, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხის საექსპედიტორო საქმიანობა არსებითად უმნიშვნელო მასშტაბისაა (საექსპედიტორო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები არ აღემატება საერთო საოპერაციო შემოსავლების [redacted]%-ს)[29], არ იძლევა ვერტიკალური ინტეგრაციის ხარისხთან დაკავშირებით მსჯელობის შესაძლებლობას.

2. ვერტიკალური კონცენტრაცია - საქმის მასალებით არ დგინდება მოპასუხესა და ქვედა დონეზე მოქმედ რომელიმე ეკონომიკურ აგენტს შორის კონცენტრაციის ფაქტი. კერძოდ, კონცენტრაციის ცნება ამომწურავად არის განმარტებული ,,კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით, თუმცა ამავე პუნქტით დადგენილი არც ერთი ფაქტობრივი შემადგენლობის არსებობა განსახილველი საქმის ფარგლებში არ დგინდება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ საქმის მასალებით არ დგინდება ვერტიკალური ინტეგრაციის მისაღწევად განსახორციელებელი არც ერთი ქმედების არსებობა, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას დაადგინოს ვერტიკალური ინტეგრაციის ხარისხი (მასშტაბი) და მასზე დაყრდნობით შეაფასოს მოპასუხე ეკონომიკური აგენტის სავარაუდო დომინანტური მდგომარეობა.

როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტოს მხრიდან, მოცემულ საქმეში მოპასუხის საბაზრო ძალაუფლების დადგენისას, შეფასებულ იქნა მის ხელთ არსებული ყველა ფაქტობრივი გარემოება შესაბამის ბაზარზე შპს ,,ჯნს ჯორჯიას" მდგომარეობის განსაზღვრისთვის. აქედან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, **სააგენტო მიიჩნევს, რომ მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს საკონტეინერო ტვირთების საზღვაო გადაზიდვისა და შემოტანის ბაზარზე არ უკავია დომინანტური მდგომარეობა, ვინაიდან მისი წილი შესაბამის ბაზარზე 2019-2022 წლებში არ აღემატებოდა [redacted]%-ს.**

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სააგენტო მიუთითებს, რომ კანონის მე-6 მუხლის ორი წინაპირობიდან პირველი არ არის დაკმაყოფილებული (ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობის არსებობა შესაბამის ბაზარზე). კონკურენციის კანონმდებლობისა და სააგენტოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის[30] მიხედვით კი, შეუძლებელია სახეზე იყოს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება იმ ეკონომიკური აგენტის მხრიდან, რომელსაც შესაბამის ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა არ უკავია.

---

[29] სააგენტოში შემოსული წერილი (თარიღი: 14.02.2023; რეგ: N 01/549).

[30] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 მარტის N43 ბრძანება.
საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 23 იანვრის N04/15 ბრძანება;
საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 3 ივნისის N04/179 ბრძანება;

თავი V. არაკეთილსინდისიერი კონკურენცია

კანონის მე-11[3] მუხლი კრძალავს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას და არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიიჩნევს ეკონომიკური აგენტის ქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტთა და მომხმარებელთა ინტერესებს. ამავდროულად, ეს მუხლი განსაზღვრავს ქმედებების კონკრეტულ შემადგენლობებსაც, რომელიც კანონში 2020 წლის 4 ნოემბრიდან ამოქმედებული ცვლილებების შესაბამისად, წარმოადგენს სამაგალითო (და არა ამომწურავ) ჩამონათვალს.[31]

თუმცა, განსახილველ შემთხვევაში, სავარაუდო დარღვევის შემადგენლობა, რომელსაც მომჩივანი მხარე სადავოდ ხდის, უშუალოდ მოცემულია ხსენებულ ჩამონათვალში. კერძოდ, კანონის მე-11[3] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც არაკეთილსინდისიერ კონკურენციად ითვლება ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო საქმიანობასა და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი წარმოდგენის შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია.

ამდენად, კანონის მე-11[3] მუხლის მიზნებისათვის, ეკონომიკური აგენტის ქმედების არაკეთილსინდისიერ კონკურენციად დაკვალიფიცირებისთვის და ამავე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შემადგენლობის დაკმაყოფილებისთვის, საჭიროა შემდეგი პირობების ერთობლივად არსებობა:[32]

ა) ქმედება უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქმიანი ეთიკის ნორმებს;

ბ) ქმედება უნდა ლახავდეს კონკურენტთა ინტერესებს;

გ) ქმედება უნდა ლახავდეს მომხმარებლის ინტერესებს

წინააღმდეგობა საქმიანი ეთიკის ნორმებთან - „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, ისევე როგორც, ზოგადად, ქართული კანონმდებლობა, არ განმარტავს, თუ კონკრეტულად რა მოიაზრება „საქმიანი ეთიკის ნორმებში“. თუმცა, საქართველოში კერძოსამართლებრივი ურთიერთობები ეფუძნება კეთილსინდისიერების პრინციპს. სააგენტო აღნიშნავს, რომ საქმიანი ეთიკის ნორმები ირღვევა, როდესაც ეკონომიკური აგენტის ქცევა ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს. ამავდროულად, სააგენტო აღნიშნულ კრიტერიუმს აფასებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს, ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად,

[31] საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 20 სექტემბრის №04/193 ბრძანება (შპს ,,ეს.ი.ეი შპს „ბი ეს თის“ წინააღმდეგ), გვ. 19.

[32] ანალოგიური მიდგომა გამოყენებულია სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის პირველი მარტის N04/55, 2017 წლის 6 თებერვლის N04/31 და 2017 წლის 19 ივლისის N04/186 ბრძანებებით დამტკიცებულ გადაწყვეტილებებში.

სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. კეთილსინდისიერების პრინციპი უმეტესწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, მიუკერძოებლობას, ობიექტურობას, სამართლიანობასა და სხვა."[33]

კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ინტერესების შელახვა - კანონის მე-3 მუხლის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, კონკურენტ ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევა შესაბამის ბაზარზე მოქმედი ან პოტენციური ეკონომიკური აგენტი, ხოლო იმავე მუხლის „დ" ქვეპუნქტის მიხედვით, პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტი არის დაინტერესებული ეკონომიკური აგენტი, რომელსაც აქვს დასაბუთებული განზრახვა შესაბამის ბაზარზე შესასვლელად. შესაბამისად, კონკურენტი ეკონომიკური აგენტის ინტერესების შელახვად ჩაითვლება ნებისმიერი ქმედება, რომელიც რაიმე ფორმით ზიანს აყენებს იმავე შესაბამის ბაზარზე მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტს.

მომხმარებელთა ინტერესების შელახვა - „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონი არ იცნობს სპეციალურ ცნებას „მომხმარებელი", თუმცა აღნიშნული ტერმინი განმარტებულია „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე" კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №37 ბრძანებით დამტკიცებული მითითებების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტში. კერძოდ, მომხმარებელი არის პირი, რომელიც პირადი მოხმარების ან სამეწარმეო მიზნებისათვის იძენს საქონელს/მომსახურებას. ამდენად, კონკურენციის კანონმდებლობა მომხმარებლად მიიჩნევს როგორც ფიზიკურ ასევე, იურიდიულ პირს. ქართული კანონმდებლობისგან განსხვავებით, ევროკავშირის კანონმდებლობა, კერძოდ, 2005 წლის 11 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/29/EC დირექტივა „შიდა ბაზარზე კომპანიასა და მომხმარებელს შორის არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის შესახებ", მომხმარებელს განმარტავს, როგორც „ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც ამ დირექტივით გათვალისწინებულ კომერციულ პრაქტიკაში მოქმედებს მისი სავაჭრო, ბიზნეს, სახელოსნო ან პროფესიული ინტერესების გარეთ" (მუხლი 2(a)).[34]

საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე, სადავო ნორმის კონკრეტულ შემადგენლობაზე მსჯელობის მიზანშეწონილობის განსაზღვრის მიზნით, სააგენტო თავდაპირველად ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ კანონის მე-11[3] მუხლით დადგენილი ერთ-ერთი ზოგადი პირობის - „ქმედება, რომელიც უნდა ლახავდეს მომხმარებლის ინტერესებს" არსებობა/არარსებობის დადგენაზე, რადგან საქმეში მოცემული ფაქტობრივი გარემოებები ნათლად მიუთითებს იმას, რომ მომჩივანის მიერ დასახელებული ეკონომიკური აგენტი (შპს „Silk Way" (ს/ნ: 445389295), რომლის მიმართაც მოპასუხის მხრიდან გავრცელდა გარკვეული სახის ინფორმაცია, ერთი მხრივ არ წარმოადგენს მომჩივანი ეკონომიკური აგენტის მომხმარებელს, ხოლო მეორე მხრივ ამ უკანასკნელი საწარმოს წინაშე

[33] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1184-1145-2016, 17.02.2017.

[34] ანალოგიური მიდგომა გამოყენებულია სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 მარტის №41, 2017 წლის 19 ივლისის N04/186 და 2022 წლის 20 სექტემბრის №04/193 ბრძანებებით დამტკიცებულ გადაწყვეტილებებში.

მოპასუხის მიერ გავრცელებული ინფორმაცია მომჩივანთან დაკავშირებით და აგრეთვე მომჩივანთან შესაძლო ურთიერთდამოკიდებულების გამო მოპასუხის მიერ აღნიშნული ეკონომიკური აგენტის მაღალი რისკის ჯგუფში გადაყვანა შინაარსობრივად შეეხება კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში წარმოშობილ სადავო საკითხს და არ შეიცავს მომხმარებლის ინტერესების შელახვის ნიშნებს. შედეგად, აღნიშნული მოცემულობა არ ჯდება კანონის 11^3 მუხლით გათვალისწინებულ დისპოზიციაში, კერძოდ სახეზე არ არის კანონის 11^3 მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი პირობა - „ქმედება, რომელიც უნდა ლახავდეს მომხმარებლის ინტერესებს“, შემდეგ გარემოებათა გამო:

მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ კანონის მე-11^3 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე მომჩივანი სააგენტოში წარმოდგენილ საჩივარში[35] ხაზს უსვამს და უთითებს, რომ რეპუტაციის შელახვის და მათი მხრიდან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის დასტურად შეუძლია მოიყვანოს მისი ერთ-ერთი დამკვეთის - შპს „Silk Way”-ისთან (ს/ნ: 445389295) მათი რეპუტაციის შემლახავი ცნობების გავრცელება, რომელიც მეილზე გაუგზავნა მოპასუხე ეკონომიკური აგენტის თანამშრომელმა შპს „Silk Way“-ს თანამშრომლებს, მათ შორის კომპანიის დირექტორს, გოდერძი გორაძეს. მომჩივანის თქმით, აღნიშნულ მეილში ნათქვამია, რომ მათთან თანამშრომლობის გამო მოპასუხემ კონტეინერების გაცემა შეწყვიტა შპს „Silk Way”-ზე იმ მიზეზით, რომ მოპასუხის მიმართ მომჩივანს გააჩნია დავალიანება.

2023 წლის 7 თებერვალს მომჩივან მხარესთან სააგენტოში გაიმართა ახსნა-განმარტებითი შეხვედრა. სააგენტომ მნიშვნელოვნად ჩათვალა ყურადღება გაემახვილებინა თუ რამდენად წარმოადგენდა მომჩივანის მიერ დასახელებული კომპანია - შპს „Silk Way” მის მომხმარებელს, რომლის პასუხადაც მომჩივანი ეკონომიკური აგენტის წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ ეს უკანასკნელი კომპანია არ ყოფილა მათი დამკვეთი და რომ მათ განიხილავენ, როგორც პარტნიორებს, კერძოდ ისინი ოპერირებენ ქვეყანაში შიდა გადაზიდვების მიმართულებით და შესაბამისად ისინი (მომჩივანი) ამ უკანასკნელ ეკონომიკურ აგენტს პარტნიორ კომპანიად მიიჩნევენ.[36]

აგრეთვე, სააგენტოს მიერ დამატებით მოძიებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ მომჩივან კომპანიას და შპს „Silk Way”-ს გააჩნიათ მჭიდრო პარტნიორული თანაკვეთები[37], მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ, რომ სამეწარმეო რეესტრში შპს „MGL GEORGIA“-ს სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტების მიხედვით, შპს „MGL GEORGIA“-ს ორ დამფუძნებელ პარტნიორს, გ. ვ.-ს და მ. ი-ს, შპს ,,Silk Way”-ს ამჟამინდელი დირექტორის, გ. გ.-ს მიმართ გაცემული აქვთ მინდობილობა, რომ ამ უკანასკნელმა მათი სახელით დააფუძნოს კონკრეტული „შპს“ და შეასრულოს მის დაფუძნებასთან დაკავშირებული რიგი მოქმედებები. გარდა ამისა, ამ ორ სამართლებრივ სუბიექტს შორის

[35] შპს „MGL GEORGIA”-ს მიერ სააგენტოში 2022 წლის 24 აგვისტოს წარმოდგენილი საჩივარი №01/1513, გვ. 2.
[36] შპს „MGL GEORGIA“-სთან 2023 წლის 7 თებერვალს გამართული ახსნა-განმარტებითი შეხვედრა, 24-ე წუთი.
[37] მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის 2022 წლის 7 ნოემბრის N03/313 მოხსენებითი ბარათი

კიდევ არსებობს რამდენიმე თანაკვეთა[38] (მაგ. შპს „Silk Way”-სა და შპს „MGL GEORGIA“-ს ამონაწერებში ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მისამართების დომენების მსგავსება, შპს „MGL GEORGIA“-ს სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში ფიქსირდება აგრეთვე გ. გ.-ს მიერ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ასევე შპს „MGL GEORGIA“-ს რეგისტრაცია განხორციელდა მისამართზე: ქ. ბათუმი, ჰ. აბაშიძის ქ.N63, რომლის იურიდიულ მისამართად გამოყენებაზე თანხმობას გასცემს მოქალაქე რ.თ, რომელიც წარმოადგენდა შპს „Silk Way”-ს დამფუძნებელ პარტნიორს, კომპანიის დაფუძნების დღიდან 2016 წლამდე.), რაც კიდევ უფრო გამორიცხავს იმის ალბათობას, რომ შპს „Silk Way” (ს/ნ: 445389295) წარმოადგენდეს მომჩივანი ეკონომიკური აგენტის მომხმარებელს.

სააგენტომ ამავე ახსნა-განმარტებით შეხვედრაზე აგრეთვე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მომჩივანს დაესახელებინა ისეთი ეკონომიკური აგენტ(ებ)ი, რომლებიც მათი მოსაზრებით იქნებოდნენ მათი დამკვეთები/მომხმარებლები და რომელთა მიმართაც შესაძლოა ადგილი ჰქონოდა მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ კონკრეტული ცნობების გავრცელებას. მომჩივანმა შეხვედრაზე მაგალითის სახით დაასახელა ორი ასეთი ეკონომიკური აგენტი, კერძოდ შპს „New Port” (ს/ნ: 400030186) და შპს “პარკეტ სერვის ჯე“ (ს/ნ: 202443123), მაგრამ კონკრეტული მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ამ ეკონომიკური აგენტების მიმართ მოპასუხის მიერ კონკრეტული ცნობების გავრცელებას, ვერ იქნა წარმოდგენილი.

მიუხედავად ამისა, სააგენტომ მიზანშეწონილად ჩათვალა, კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მომჩივანის მიერ დასახელებულ ზემოხსენებულ ორივე ეკონომიკურ აგენტთან წერილობით დაეზუსტებინა მათი მისამართით შპს “MGL GEORGIA“-ს რეპუტაციის შემლახავი ცნობების მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ სავარაუდო გავრცელების ფაქტი. შედეგად, სააგენტოს 2023 წლის 14 მარტის №02/704 წერილით აღნიშნული ინფორმაციის დაზუსტება ეთხოვა შპს ,,პარკეტ სერვის ჯე“-ს, ხოლო სააგენტოს 2023 წლის 14 მარტის №02/703 წერილით იდენტური შინაარსის კითხვა გაეგზავნა შპს „NEW PORT“-ს.

ზემოხსენებული ორი ეკონომიკური აგენტიდან (შპს „New Port” და შპს “პარკეტ სერვის ჯე“) სააგენტოს თავისი პოზიცია აცნობა მხოლოდ შპს ,,პარკეტ სერვის ჯე“-მ. კერძოდ, ეს უკანასკნელი საპასუხო წერილში აღნიშნავს, რომ შპს “MGL GEORGIA“-სთან თანამშრომლობს 2016 წლიდან დღემდე და მათ თანამშრომლობაზე კონკრეტული პირის მიერ არანაირი გავლენა არ მომხდარა და არავის გაუვრცელებია რეპუტაციის შემლახავი ცნობები მათი მისამართით მომჩივან ეკონომიკურ აგენტზე.[39]

გარდა ზემოაღნიშნულისა, სააგენტოში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, მომჩივანი ეკონომიკური აგენტის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი რაიმე სახის

[38] 2022 წლის 7 ნოემბრის N03/313 მოხსენებითი ბარათი
[39] შპს “პარკეტ სერვის ჯე“-ს 2023 წლის 21 მარტის №01/936 კორესპონდენცია.

დამატებითი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა შპს „ჯნს ჯორჯიას“ მიერ მისი მომხმარებლების მიმართ კონკრეტული ცნობების გავრცელებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეთა მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის, მტკიცებულებების და დამატებით მოძიებული ინფორმაციის ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ მომჩივანის მიერ დასახელებული კომპანია - შპს „Silk Way” ერთი მხრივ არ წარმოადგენს მის მომხმარებელ ეკონომიკურ აგენტს, ხოლო მეორე მხრივ, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა ამ უკანასკნელი საწარმოს წინაშე მოპასუხის მიერ გავრცელებული ინფორმაცია მომჩივანთან დაკავშირებით და განხორციელებული გარკვეული ქმედება (ე.წ. მაღალი რისკის ჯგუფში გადაყვანა), შინაარსობრივად შეეხება კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში წარმოშობილ სადავო საკითხს და არ შეიცავს მომხმარებლის ინტერესების შელახვის ნიშნებს, იმ ფონზე რომ მოპასუხის მხრიდან შპს „Silk Way”-ს მიმართ განხორციელდა საექსპედიტორო მომსახურების გაწევა, გარკვეული, კერძოდ დეპოზიტის წარდგენის პირობით და აღნიშნული დეპოზიტი ამ უკანასკნელ ეკონომიკურ აგენტს დაუბრუნდა მომსახურების გაწევის შემდგომ, რაც უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა. აგრეთვე საქმეში არ არის წარმოდგენილი სხვა მომხმარებლების მიმართ მოპასუხის მიერ სადავო ინფორმაციის გავრცელების დამადასტურებელი მტკიცებულებები და შესაბამისად მათი ინტერესების შელახვის ფაქტები. შედეგად, აღნიშნული მოცემულობა არ შეესაბამება კანონის მე-11[3] მუხლით გათვალისწინებულ დისპოზიციას, კერძოდ სახეზე არ არის კანონის მე-11[3] მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი პირობა - „ქმედება, რომელიც უნდა ლახავდეს მომხმარებელთა ინტერესებს.“

ამდენად, გამომდინარე იქიდან, რომ დაკმაყოფილებული არ არის კანონის მე-11[3] მუხლის დისპოზიციით გათვალისწინებული ერთ-ერთი ზოგადი კრიტერიუმი, აღარ არის საჭირო ქმედების ანალიზი კონკრეტული შემადგენლობის ჭრილში.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული დასაბუთებიდან გამომდინარე, სააგენტომ მოცემულ ეტაპზე არ განახორციელა ქმედების ანალიზი კონკრეტული შემადგნელობის ჭრილში, დამატებით აღსანიშნავია, რომ მომჩივანი საჩივარში ასევე უთითებს, მისი რეპუტაციის შელახვის მიზნით მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მხრიდან ე.წ. „შავ სიაში“ უსაფუძვლოდ ჩასმაზე. როგორც სააგენტოსათვის ცნობილი გახდა, Cosco Shipping Line-ის მოთხოვნით შპს „ჯნს ჯორჯიამ“ განახორციელა მომჩივანი ეკონომიკური აგენტის Cosco Shipping Line-ის ე.წ. „შავ სიაში“ რეგისტრაცია.[40] შესაბამისად, ის გარემოება, რომ მომჩივანი იმყოფება ე.წ. „შავ სიაში“ საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეესაბამება სიმართლეს, ხოლო მასში რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიმღები არის არა მოპასუხე - შპს „ჯნს ჯორჯია“, არამედ ჩინეთის საზღვაო ხაზის ოპერატორი კომპანია Cosco Shipping Line. ამასთან, საჩივარი წარმოდგენილია კანონის მე-11[3] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“

[40] შპს „ჯნს ჯორჯიას“ 2022 წლის 27 სექტემბრის №01/1728 კორესპონდენცია და მისი დანართი; შპს „ჯნს ჯორჯია“-სთან 2023 წლის 7 თებერვალს გამართული ახსნა-განმარტებითი შეხვედრა.

ქვეპუნქტის სავარაუდო დარღვევის შესახებ, რომლის შემადგენლობაში შედის ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვის(საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო საქმიანობასა და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი წარმოდგენის შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკის ან დისკრედიტაციის ფაქტები და არა ე.წ. „შავ სიაში“ რეგისტრაციის კანონიერება. ამდენად, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს ქმედება კანონის მე-11^3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის ფარგლებში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოების პროცესში დამუშავებული და დამატებით მოპოვებული ინფორმაციის ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტოს შეფასებით, არ დგინდება მომჩივანის მიერ სადავოდ გამხდარი ფაქტობრივი გარემოებების სამართალდარღვევად კვალიფიკაციის შესაძლებლობა და შესაბამისად, მას უარი უნდა ეთქვას საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

თავი VI. სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის, 11^3 მუხლის, 17^1 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-6 მუხლის პირველი და მეორე პუნქტებისა და 29-ე მუხლის შესაბამისად, სააგენტომ

გადაწყვიტა:

1. არ დადასტურდეს შპს „ჯნს ჯორჯიას“ (ს/ნ 415082145) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის დარღვევის ფაქტი.
2. არ დადასტურდეს შპს „ჯნს ჯორჯიას“ (ს/ნ 415082145) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11^3 მუხლის დარღვევის ფაქტი.